წლიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 28 აგვისტო 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 32

## ჟურნალის შინაარსი

დემოკრატიის კრიზისი—**ყარიბი**; ჩვენი და მათი საქმიანობა—**ს. ელიაძე**; ჩემბერლენი უკან იხევს—**ალ. ხელაძე**; სანავთო ომი—**იპ. ნარსია**; ჩინეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს—**ასოთ-ამწყობი**; საბჭ. საქართველოს მიღწევები მრეწველობის დარგში—**ლადიკო პაპავა**; დელეგატ ქალთა არჩევნების გამო—**დაინტერესებული**; ყოფილ სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ხმა; რკინის გზის რამერუმე—**დუღაბი**; კლდე—მოთხრობა—**დავით სულიაშვილი**; წერილი პროვინციიდან.

# დემოკრატიის კრიზისი

2.

ნოე ჟორდანიას „დემოკრატიის კრიზისი“ განსაკუთრებით ახალგზელებისთვის არის საყურადღებო.

ს.-დ. პარტიის იმ ყოფილმა წევრებმა, რომლებმაც გადაათვალიერეს და გადაფასეს თავისი წარსული და ახალ გზაზე დადგომა გაბედეს, ჟორდანია-რამიშვილისაგან ქვეყნის მოღალატეების, მოსყიდულების და ვინ იცის კიდევ რა სახელი არ დაიმსახურეს.

არ არსებობს ისეთი ლანძღვა-გინება, რომელიც „ბრძოლამ“ და „დამოუკიდებელმა საქართველომ“ არ უძღვნან ახალგზელებსა და მათ მწერლებს.

რატომ? რა დანაშაული ჩაიდინეს ახალგზელებმა? რით დაიმსახურეს ასეთი ყურადღება ემიგრაციის ლიდერებისა და მათი პრესის მხრით?

„ახალგზელებს“ დანაშაული მართლაც რომ დიდი მიუძღვით. განშორდენ იმ პარტიას, იმ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომლის რიგებშიც რამდენიმე ათეული წლის განამვლობაში პოლიტიკურად იზრდებოდენ, მუშაობდენ, იბრძოდენ. შეურიგდენ და მიემხრენ იმ პარტიას, რომელსაც გუშინ ასე სასტიკად ებრძოდენ.

ჟორდანია-რამიშვილის თვალსაზრისით, ეს მართლაც რომ მიუტოვებელი დანაშაულია. და როცა ასეთ ნაბიჯს ვსვდამდით ჩვენ ჩინებულათ ვიცოდით, რომ ჩვენი ყოფილი ამხანაგები ამას არ გვაპატიებდენ. ჩვენ ეს კარგად ვიცოდით, მაგრამ ამას არ შევუშინდით, რადგან ეს სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნდა.

პოლიტიკური ბრძოლა ყოველთვის და ყოველგან სასტიკი და შეუბრელებელი იყო და არის. ის სრულიადაც არა სცნობს რომანტიზმს, მას არ უყვარს გრძნობების აყოლ-დაყოლა. ის ხშირად გადადის პირადი პატივისცემის გრძნობის საზღვრებს.

პოლიტიკური ბრძოლის დროს მოწინაალმდეგენი მით უფრო მკაცრად, მით უფრო დაუზოგველად ეპყრობიან ერთმანეთს, რამდენადაც ისინი ამ ბრძოლის დაწყებამდე უფრო დაახლოვებული იყვნენ ერთმანეთთან, რამდენადაც ისინი მჭიდროდ იყვნენ გადახლართული მეგობრულისა და საერთო საქმის სიყვარულის გრძნობით. ამის საუკეთესო მაგალითი ათასობით მოგვცა წარსულმა სამოქალაქო ომებმა, რომელმაც ორ სამკვდრო-სასიცოცხლო ბანაკად გაჰყო ჩვენი საზოგადოება, რომელმაც მამა შვილს მოჰგლიჯა, ძმა—ძმას, ცოლი—ქმარს...

ეს გრძნობა, ასეთი ურთიერთ შორის დაუზოგველი მტრობა მონათესავე ჯგუფებისა, იმდენად ძლიერია, რომ ის ხშირად შორდება სოციოლოგიის ფარგლებს და გადადის ბიოლოგიაში. დარვინი გვეუბნება, რომ „არსებობისთვის ბრძოლა განსაკუთრებული სისასტიკით სწარმოებს ერთ და იმავე ჯიშის ინდივიდუმებსა, თუ გვარეულობის შორის“-ო, ამიტომ არის, რომ პოლიტიკური ბრძოლა ხშირად იწვევს ერთ-ერთი მებრძოლის მოსპობასა და განადგურებას.

მაგრამ ბრძოლის ასეთ სიმკაცრეს ამართლებს მხოლოდ და მხოლოდ მისი პრინციპიალობა და არა პირადი ანტიპატიის გრძნობა. ჩვენ ყოფილი ამხანაგები კი ისე დაეცენ, რომ სრულიად ივიწყებენ ამ ჭეშმარიტებას, ივიწყებენ ბრძოლის პრინციპიალურ მხარეს და მხოლოდ თავისი შეურაცყოფილი გრძნობით ხელმძღვანელობენ მოწინაალმდეგესთან კამათის დროს.

წავიდა პარტიიდან სოციალ-დემოკრატიის ერთი ჯგუფი—ის მოღალატეებიდან შესდგებოდა! წავიდა მეორე ჯგუფი—ამ ჯგუფის ყველა წევრებიც ქვეყნის გამყიდველია! დასტოვა პარტიის რიგები ს.-დ. ამა თუ იმ თვალსაჩინო წევრმა,—ის უკეთეს შემთხვევაში დაღლილი და მოქანცულია, უარეს შემთხვევაში—ჩეკის აგენტია!.. ყველა ესენი ერთად:—მოღალატეები, ქვეყნის გამყიდველები, ლაქიები, ფინიები, „მსუქან ბაგაზე“, დაბმული პიროტყვები არიან და სხვა, და სხვადასხვა...

ასეთია მათი ლექსიკონი, ასეთია მათ მიერ მათი ყოფილი ამხანაგების პოლიტიკური ნაბიჯების დაფასება.

ასე სწერდენ და სწერენ ჟორდანია-რამიშვილის ჯამიტლაკიები „ბრძოლის“ და „თავისუფალ საქართველოს“ ფურცლებზე, ასე გვამკობდენ და გვამკობენ ისინი.

გამოგიტყდებით: ჩვენ მთელი ეს სიბინძურე მარტო ამ ჯამიტლაკიების საქმე გვეგონა. ამიტომაც არცერთ ჩვენგანს მათთან კამათი არ მოუსურვებია. ჩვენ ვფიქრობდით: ეს ფინიები წკავწკაობენ იმიტომ, რომ თავის „ხაზეინების“ ყურადღება დაიმსახურონ. მაგრამ მალე თვითონ ნ. ჟორდანია შეეცდება საქართველოში ყოფილ ს.-დ. პარტიის დარღვევის მიზეზების წმინდა მარქსისტული მიდგომით გარჩევას და გაშუქებას და მისი ფინიები ძალაუნებურად იქნებიან იძულებული ხმა გაკმინდონ მეთქი.

ამ მოლოდინში გავიდა ერთი, ორი, ექვსი წელი... ფინიები ისევ წკავწკაობენ, ქართველი ემგრაციის დალაილამა ისევ ისე სდუმს...

მაგრამ, არა, მან უკვე დაარღვია სიჩუმე და თუმცა თავის ფინიებს ისევ ისე აყეფებს ჩვენ საგინებლად, მაგრამ თვითონ შეეცადა შექმნილი კრიზისის გარჩევას, შეეცადა, რა თქმა უნდა. არა საქართველოს მასშტაბით,—აბა ამას ის როგორ იკადრებდა!—შეეცადა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

იმავე „დემოკრატიის კრიზის“-ში, რომელსაც პირველ წერილში გავეცანით, ნოე ჟორდანია ერთობ თავისებურად ხსნის კრიზისის მიზეზებს, მაგრამ ზოგიერთ საღ მოსაზრებებსაც იძლევა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ დემოკრატიის კრიზისის მიზეზად ნ. ჟორდანია მუშათა დემოკრატიას ასახელებს. თურმე მუშათა დემოკრატიამ „ვერ გადასწყვიტა ძირითადი საკითხი ეკონომიური და პოლიტიკური მოძრაობისა“... ამან გამოიწვია დემოკრატიის პირველი სანგარი, რასაც შედეგად მოყვა „დანარჩენი ჯებირების აფოირაქება და იდეიური არევ-დარევა“. აქედან დაბადებულა „პოლიტიკური კრიზისი. დემოკრატიული მთავრობა უკვე გადაიქცა უძლურ, უსაქმო, მოლაყბე მთავრობათ. დემოკრატიზმი გახდა სინონიმათ სიძაბუნისა, გაუბედაობისა, ერთი ადგილის ტკეპნისა, სიტყვიერებისა. რუსეთის დროებითი მთავრობის სენი მოედვა ევროპის მთავრობებსაც“...

ასე სწერს ნ. ჟორდანია დემოკრატიის კრიზისის შესახებ. ქვემოთ ის უფრო შორსაც მიდის დემოკრატიისა და დემოკრატიზმის დაცემისა და უძლურების დასურათხატებაში. ის გვეუბნება:

„გერმანიის და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობებმა ბოლშევიკებს ტყვიის მფრქვეველებით გაუმასპინძლდნენ, მარა შემდეგ ისინიც საერთო ტალღამ გაიტაცა და მოსკოვის სახარებაზე იმედების დამყარება დაიწყეს“.

ასე სწერს ნ. ჟორდანია, რომელსაც კომუნისტური პარტიისა და ხელისუფლების არარაობის დამტკიცება სურს და, ეტყობა, ვერც კი გრძნობს, რომ ამით ის სრულიად წინააღმდეგ შედეგებს იღებს. ჟორდანიას წერილის ამ ადგილიდან აშკარადა სჩანს, რომ კომუნიზმი არც ისე უძლური, არც ისე შემთხვევითი და დროებითი მოვლენა ყოფილა, როგორც ეს ჟორდანიას გონია. ის თვითონ გვეუბნება, რომ მთელ მსოფლიოში უდიდეს და უძლიერეს პოლიტიკურ პარტიებს, როგორიც არის გერმანიისა და ავსტრიის ს.-დ. პარტიები, მთელის თავისი ძალ-ღონით მოუტანიათ იერიში კომუნიზმზე, ტყვიისმფრქვეველებიც კი აუმუშავებიათ კომუნიზმის დასამარცხებლად, მაგრამ ვერაფერი ვერ დაუკლიათ მისთვის. სრულიად პირიქით: კომუნიზმს უიარაღოდ, ზარბაზნებისა და ტყვიის მფრქვეველების უმისოდ დაუძლევია ეს გუშინ უძლეველი პარტიები და თავის სახარების წინაშე დაუჩოქებია ისინი. ეს ფაქტია, ეს ისეთი აშკარა ჭეშმარიტებაა, რომელსაც ჟორდანიაც კი აღიარებს.

რაშია საქმე? რამ მოახდინა ასეთი სასწაული?

შეიძლება მიბრძანოთ: მატერიალურმა ძალამო. მაგრამ ამის მთქმელს ავიწყდება, რომ გერმანიასა და ავსტრიაში კომუნისტების ხელში სულაც არ იყო სახელმწიფოს მატერიალური ძალა, რომ ეს ძალა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ს. -დ. პარტიების ხელში იყო... კიდევ მეტიც: ასეთი ძალა არ იყო არც რუსეთის კომუნისტური პარტიის ხელში. აბა ვინ არ იცის, რომ მთელი სახელმწიფოს ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელში იყო, რომ ლენინი და მისი უმახლობლესი ამხანაგები კანონ გარეშე იყვენ გამოცხადებული, რომ იმათ დაეძებდენ, როგორც სახელმწიფოსა და ხალხის მტრებს და ლენინი იძულებული იყო სადღაც ტყეში ეცხოვრა და ისე აეცდინა თავიდან კერენსკისა და წერეთელის ციხეში პატიმრობა. დროებითი მთავრობის ბატონობის პირვ. ხანებში მაინც ლენინის მხარეზე არ იყო ჯარის ასე თუ ისე საგრძნობი ნაწილის თანაგრძნობაც. ჯარი და ფლოტი იმ დროს გაბრუებული იყვენ წერეთლისა და კერენსკის რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით... ჩვენ გვახსოვს თებერვლის რევოლიუციაში ისეთი მომენტიც, როცა ბალტიის მეორე ფლოტის ეკიპაჟმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომლითაც ამ ეკიპაჟის მატროსები ლენინს ქვეყნის მტრად აცხადებდენ, მის დაჭერასა და გერმანიაში დაბრუნებას მოითხოვდენ.

**(იხ. „Социалисты о текущем моменте“· Материалы Великой Революции. 1917 г. изд. „Дело“. Москва).**

მაშ რა მოხდა? რით გაიმარჯვა ლენინმა და მისმა პარტიამ? რატომ გაიმარჯვა კომუნიზმმა? რატომ დამარცხდა დროებითი მთავრობა და მისი საფუძველი მენშევიზმი მთელი მსოფლიოს მასშტაბით?

მოხდა სრულიად ბუნებრივი რამ.

აქ ერთმანეთს დაეჯახა ორი პროგრამა, ორი მიმართულება, ორი სხვადასხვაფერის დროშა.

პირველად, თებერვლის რევოლიუციაში, გაიმარჯვა იმ პარტიამ, რომელსაც მეტი წევრები აღმოაჩნდა, ვისაც მეტი თითები ჰქონდა. მან თითების აწევ-დაწევით, ხმის უმეტესობით, ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ძალა-უფლება. მაგრამ ბოლოს, როცა ხალხი, რევოლიუციონური მასა, საქმეში გაერკვა, როცა მან დაახწია თავი წერეთლისა და კერენსკების სიტყვათა კორიანტელს და თითების ადგილი თავებმა დაიჭირეს,—მან შეადარა ერთმანეთს ორი პოლიტიკური მიმართულება, გაუსინჯა კბილები ერთის მხრით მენშევიკებისა და ესერების წაჯექ-უკუჯექობის პოლიტიკას, მეორეს მხრით ბოლშევიკების პროგრამას, მან უკუაგდო მენშევიზმი და მიიღო ბოლშევიზმი.

ეს მოხდა ჩვენ თვალწინ. ეს ყველამ აშკარად დავინახეთ. ჩვენს თვალწინ მოკვდა არა მარტო კერენსკისა და წერეთლის მთავრობა,—ეს არც ისე დიდი უბედურება იქნებოდა!—მოკვდა თვით ამ მთავრობის საფუძველი—მენშევიზმი და მისი ადგილი გუშინ დევნილმა და კანონ გარეშე გამოცხადებულმა პარტიამ დაიჭირა.

და დღეს პოლიტიკურ ბალღებსაც კი ვერ დააჯერებთ, რომ ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება შემთხვევითი იყო, რომ მათ ხალხი მოატყვილეს და დღეს მხოლოდ „ჩეკას“ მეოხებით ბატონობენ.

ეს ერთობ გაცვეთილი და დაძველებული აზრია.

რატომ გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა, რომლებიც დევნილ პარტიას წარმოადგენდენ?

რატომ დამარცხდა ყოვლად ძლიერი მენშევიზმი?

იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა ხალხი მოატყუილეს? მაგრამ ეს რომ საბუთად გამოდგებოდეს, განა კერენსკისა და წერეთლის მთავრობამ კი ცოტა ატყუილეს ხალხი? სხვას რომ თავი დავანებოთ, ირაკლი წერეთლის ის ყოვლად მახინჯი და დუხჭირი შვილი, რომელსაც „პრედპარლამენტი“ ქვიოდა, ხალხის უდიდესი და უსაშინელესი მოტყუილება არ იყო?

მაშ რატომ ჩვენი ტყუილი, რომელიც იმავე დროს სახელმწიფო ძალაუფლებაზე იყო დამყარებული, ვერ იმარჯვებს და შედარებით სუსტი მოწინააღმდეგის ტყუილი კი ასეთ სასწაულებს ახდენს?

არა, მოქალაქენო! ოქტომბრის რევოლიუციაში ლენინის პარტიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მის მხარეზე იყო რევოლიუციის მთელი მორალური ძალაც, რევოლუციის მთელი ლირიკა, მთელი ექსტაზი! ლენინი მოვიდა მენშევიზმის მიერ მოტყუილებული ხალხის ვექილად და გამარჯვებაც მას დარჩა.

ტყუილს, ხალხის მოტყუილებას შეუძლია მოგვცეს დროებითი ეფექტი. მან შეუძლია მოგვიპოვოს დროებითი გამარჯვება, როგორც ეს თებერვლის რევოლიუციაში

დავინახეთ. მაგარმ თუ მართალია ხალხის თქმულება: ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, ეს ყველაზე უფრო მართლდება რევოლიუციის დროს. ერთ მოხერხებულ პოლიტიკურ სარმას, ერთ ლამაზ სიტყვას შეუძლია მოწინააღმდეგის ხალხის თვალში დამხობა. ტყუილს დიდი გასავალი აქვს ერთის წუთით, მაგრამ მეორე წუთში ყველა დაინახავს მის მოკლე და დაღრეკილ ფეხებს და ვაი მაშინ იმისი ბრალი, ვინც ამ დუხჭირ ტყუილს მიმართა.

პოლიტიკური პარტიის გასამარჯვებლად საჭიროა მატერიალური ძალა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს პოლიტიკური პარტიის პროგრამის გამარჯვებას. ამ უკანასკნელის გამარჯვებისათვის საჭიროა მორალური ძალა, საჭიროა, რომ იგი გამომდინარეობდეს თვით ხალხის ინტერესებიდან. უამისოდ პოლიტიკური პარტიის გამარჯვება ვერასოდეს ვერ იქნება ხანგრძლივი და მყარი. პოლიტიკური ქარის ერთი დაქროლა და ასეთი გამარჯვება ბავშების სათამაშო ხუხულასავით დაინგრევა.

კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ხელისუფლებამ კი გაუძლო მასზე ათასჯერ მოვარდნილ პოლიტიკურ გრიგალს, გაუძლო მთელი იმპერიალისტური მსოფლიოს საშინელ ტალღებს... ამას ანგარიში არ უნდა გაეწიოს?!

ნოე ჟორდანია არავითარ ანგარიშს არ უწევს ამ ყველასთვის აშკარა ფაქტს. ის ამ პირველი დანახვით საკვირველ მოვლენას იმით ხსნის, რომ „დემოკრატია შედრკა, დაიბნა და მტერს გზა გაუხსნა“. ნ. ჟორდანია ასე თავდაყირა აყენებს საკითხს. მის მაგიერად რომ თქვას: მუშათა დემოკრატიამ, თვისი კლასობრივი ინტერესების მიხედვით კომუნისტებს შეუერთდაო, ის ამ დემოკრატიას ბრალდებას უყენებს:—შედრკა, დაიბნა და კომუნისტებსა და ფაშისტებს კარები გაუღოვო.

მერე რაში გამოიხატება მუშათა დემოკრატიის ასეთი „დაბნევა?“ ნუ თუ იმაში, რომ მან დროებითი მთავრობას უღალატა, რომ მან დალეწა ტყუილების ხუხულები და ოქტომბრის რევოლიუციის იდეოლოგია მიიღო?

ნ. ჟორდანიას უნდა მოვახსენოთ, რომ ის დღეს ტყუილად იწუხებს თავს დემოკრატიის კრიზისზე წერით, ტყუილად ეძებს მალამოს მის განსაკურნავათ. დემოკრატია კატასტროფიულ მდგომარეობაში იყო სწორედ მაშინ, როცა ის მსოფლიო მენშევიზმს უჯერებდა, მისი ყურმოჭრილ მონათ გამოდიოდა. დემოკრატია ოქტომბრის რევოლიუციამ გამოიყვანა ამ კატასტროფიულ მდგომარეობიდან. გუშინ მენშევიზმის მიერ ბურჟუაზიის ართახებში გაკრული დემოკრატია გლეჯავს ართახებს, გამოდის თავისუფალ პოლიტიკურ ასპარეზზე; მისი უდიდესი ნაწილი იღებს ხელში დიქტატურის ხმალს და მედგრად უყივის მსოფლიო პროლეტარიატს მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

აქედან იწყება დემოკრატიის ლაზარეს მკვდრეთით აღდგენის, მის გაჯანსაღებისა და გამარჯვების ხანა, და არა მისი კრიზისი...

რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ ნ. ჟორდანიას „დემოკრატიის კრიზისი“-დან კერძოთ ჩვენ, ახალგზელებმა?

ამაზე შემდეგ.

ყარიბი.

# ჩვენი და მათი საქმიანობა

საზღვარგარედ გადახვეწილი ქართველი ემიგრაციის ლიდერებს სხვა საქმე არაფერი აქვთ, გარდა იმისა,რომ დროგამოშვებით თავიანთ პრესის ფურცლებზე ლანძღვაგინებით შეამკონ საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა და ისინი, ვინც ამ ხელისუფლებაში დაინახა საქართველოს მშრომელი ხალხის მომავალი კეთილდღეობის საწინდარი, გვერდში ამოუდგა მმართველ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, რათა შეერთებულის ძალით აწარმოონ აღმშენებლობითი მუშაობა.

მკითხველი ყველა მათ გამოცემებში ჩახავს მხოლოდ და მხოლოდ წუწუნს დაკარგულ „თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე“ და უშვერი სიტყვებით ლანძღვა გინებას იმათ მიმართ, ვინც მათ სახარებაზე აღარ ლოცულობს, ვისაც აღარ სურს თავისი ხელით ბურჟუაზიის საქმე აკეთოს.

აი, ეხლაც—26 მაისის სახსოვრად მათ გამოუციათ საქართველოს პოლიტიკური „პარტიების“ გაერთიანებული ორგანოს, „დამოუკიდებელი საქართველოს“ მე-17 ნომერი.

ამ გაზეთში მოთავსებულ წერილებიდან ჩვენთვის უფრო საინტერესოა იმ „სოციალისტების“ აზრი, რომლებიც თავიანთი მარგალიტებით უმასპინძლდებიან საბჭოთა ხელისუფლებას და მათ მომხრეებს.

ესენი გახლავთ მენშევიკი მოქ. კაჟი, ფედერალისტი სამსონ ფირცხალავა და ესერი ილია ნუცუბიძე.

ყველა ამ „ბრძენთა“ წერილები ეხება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს.

დავიწყოთ პირველიდან. მენშევიკი კაჟი, რომლის წერილს სათაურათ აქვს „ჩვენ გავიმარჯვეთ, თქვენ დამარცხდით“, სწერს: „აი, ასეთი სიტყვებით მოგვმართავენ ხშირად ისინი, რომლებიც რუსის ჯარით მოვიდენ საქართველოში და მათი საშუალებით განაგებენ საქართველოს. ამას გაიძახიან ისინი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო, ხალხს თავისუფლება წაართვეს. მათ კიდევ მოძახილს ეუბნებიან ისინი, ვისაც „დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს“.

ვინ არიან ისინი, რომელთაც „დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს“?

რა თქმა უნდა, მათში მოქ. კაჟი გულისხმობს იმ მუშებს, გლეხებს და მშრომელ ინტელიგენციას, რომლებიც წინად საქართველოში მენშევიზმის დასაყრდენს წარმოადგენდა და შემდეგში კი აღარ ისურვა ყალბი გზით სიარული და ისევ რევოლიუციონურ ბანაკს დაუბრუნდა, საბჭოთა ხელისუფლებას გვერდში ამოუდგა და სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაება.

დავარწმუნებთ მოქ. კაჟს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება არავითარ „კვერცხს და ქათამს“ არ ურიგებს თავის მიმდევრებს. მენშევიზმის ბატონობასა და დღევანდელ მდგომარეობას შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ მუშის ნაშრომს კაპიტალისტი ისაკუთრებდა, გლეხის მონაგარი ჩარჩებს უვარდებოდა ხელში. დღეს კი საბჭოთა ქვეყნებში შრომისა და მშრომელთა ექსპლოატაცია გაუქმებულია. წარმოება სახელმწიფოს ხელშია და მისი წინსვლა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებასაც მოასწავებს.

დღეს მიწები გლეხობას გადაეცა დასამუშავებლად და მათ ღალას აღარავინ ახდევინებს. ამასთანავე განვითარებული კოოპერაცია ხელსაყრელ ფასებში იძენს გლეხობისაგან ზედმეტ სურსათ-სანოვაგეს.

აი, ის „კვერცხი“, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება „ურიგებს“ მშრომელ მასებს.

ზედმეტად მიგვაჩნია პოლემიკა იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებმა „მოსპეს საქართველოს დამოუკიდებლობა და ხალხს წაართვეს თავისუფლება“-ო. ეს საკმაოდ გაცვეთილი ფრაზაა, რომლის შესახებ რამდენიც არ უნდა ვამტკიცოდ, სულ ერთია, ის მაინც თქვენთვის მგლის თავზე სახარების კითხვა იქნება, ვინაიდან, თავის-თავს სოციალისტებს უწოდებთ, ვითომდა მუშათა ინტერესების დამცველის როლში გამოდიხართ და როდესაც ამ საკითხში არაფერი გაქვთ სალაპარაკო, აბა რით უნდა შეიქციოთ თავი მანდ, თუ არა ეროვნული დამოუკიდებლობის შესახებ ლაყბობით.

მხოლოდ გვინდა მოქ. კაჟს ერთ კითხვაზე კიდევ უპასუხო: ის სწერს:

„თქვენ მეტი თავის გასამართლებელი საბუთი არა

დაგრჩენიათ, რა რომ სთქვათ: „ხიდეებს ვაშენებთ, წიგნებსა ვცემთ, ქარხნებს ვაგებთ და გზები გავგყავსო“.

მოქ. კაჟო, მარქსისტობაზე თავს სდებთ, კომუნისტებს მარქსიზმის გაყალბებას აბრალებთ და ის რატომ დაგავიწყდათ მაინც, რომ პოლიტიკა ეკონომიკის ზედნაშენი რომ არის?

ერის დამოუკიდებლობის უმთავრესი საფუძველი ხომ ეკონომიური აღორძინებაა, ურომლისოდ ყველა ერები, რაგინდ მრავალრიცხოვანი არ იყოს ის, ვარდება ეკონომიურად ძლიერ სახელმწიფოს გავლენის სფეროში და კოლონიად იქცევა. ამის საუცხოვოდ დამადასტურებელი დღევანდელი ჩინეთის მდგომარეობა არ არის?

თუ გზები კეთდება, ხიდები შენდება, ფაბრიკებს აგებენ, აუარებელი წიგნები გამოდის სამშობლო ენაზე, რა არის ყველა ეს, თუ არა დამოუკიდბლობის საუცხოვო გარანტია? მაშ ანგარიშში სცდებოდა თვითმპყრობელური მთავრობა, როდესაც ყოველმხრივ უშლიდა ხელს ჩვენში წარმოების განვითარებას და ფაბრიკა-ქარხნების გახსნას..

მაგრამ თქვენ ამ აღმშენებლობასაც იწუნებთ და ამბობთ: „თუ ქარხნის აგება და ხიდის აშენება უმთავრესი და ყველაფერია, მაშინ კეთილი ინებეთ და მთელი საბჭოთა კავშირი გადაეცით ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტებს. დამერწმუნეთ, რომ ისინი თქვენზე უკეთ გზებსაც გაიყვანებენ და ქარხნებსაც ააგებენ“-ო.

კიდეც, რომ ჩვენზე უკეთ ააგონ კაპიტალისტებმა ფაბრიკა-ქარხნები, ჩვენ მაგ რეცეპტებს მაინც ვერ მივიღებთ, ვინაიდან დანამდვილებით ვიცით, რომ ევროპის კაპიტალისტები საქართველოს მუშების ნაწარმოების კარგა მოზრდილ რაოდენობას თავის ქვეყანაში გაზიდავენ. ეხლა კი რასაც ვაკეთებთ, ის სრულ ჩვენს განკარგულებაშია.

ასეთი რეცეპტი ისევ თქვენთვის დაგვილოცნია. თქვენ ხომ კაპიტალისტების გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ არსებობა?

მოქ. ფირცხალავას წერილიც—„მათი კავშირი და ჩვენი“—დამოუკიდებლობის საკითხს ეხება. ის უმთავრეს ყურადღებას აქცევს გაეროვნებისა და ფედერაციას საკითხებს.

ფიცხალავა ჩასჭიდებია თვით საბჭოთა პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს გაეროვნების საქმეში ზოგიერთი ნაკლულოვანების შესახებ, რომელსაც ჩვენ დაუფარავად ვამჟღავნებთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოთ ამ საკითხში ყოველგვარ დამახინჯებას.

„ვინც ერების კავშირს ქადაგებს, ის ჯერ ერს, ეროვნებას უნდა სცემდეს პატივს, და განა ბოლშევიკების სამეფოში ერი აბუჩად არაა აგდებული?“—ბრძანებს მოქ. ფირცხალავა.

ამას წინედ ნოე ჟორდანიამ დასწერა, ბოლშევიკებმა ეროვნულად დააწინაურეს უკრაინა, ხოლო ეროვნული კერა შეუქმნეს ისეთ ჩამორჩენილ და უისტორიო ერებს, როგორიცაა კირგიზები და ბაშკირებიო.

რომელია აქ მართალი? ნოე ჟორდანია, რომელიც ვერ უარყოფს, რომ ბოლშევიკებმა ისტორიის მიერ დავიწყებული ერები საზოგადო ასპარეზზე გამოიყვანესო, თუ მოქ. ფირცხალავა, რომელიც ბრძანებს: „ბოლშევიკების სამეფოში ეროვნება აბუჩად არის აგდებული“-ო?

დარწმუნებული ვართ, რომ ნოე ჟორდანიას უფრო დაეჯერება ამ შემთხვევაში.

ფირცხალავა ბრძანებს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია მასების თვალის ასახვევი ფიქციაა. ნამდვილად კი ამიერ-კავკასიის მთავრობას გუბერნატორის უფლებაც არა აქვს მინიჭებული, ხოლო საქართველოს მთავრობის უფლებები და ღირსება ძველი მაზრის უფროსის, თუ პრისტავის უფლებებზე დაბლა სდგასო.

ამაზე შორს სერიოზული მსჯელობის დამდაბლება კიდევ შეიძლება? ეს იმდენად დაწვრილმანებაა, რომ მასზე სერიოზული პასუხის გაცემა ზედმეტია.

რაც შეეხება ფირცხალავას წუწუნს, რომ საქართველოში გაეროვნება არ არის გატარებულიო, დავამშვიდებთ, რომ დაწყებული უმაღლეს სასწავლებლიდან და გათავებული პირველ დაწყებითი შრომის სკოლით, სწავლა სწარმოებს ქართულ ენაზე. სხვა ეროვნების სკოლებშიაც კი სავალდებულოა ქართული ენის სწავლება. საბჭოთა დაწესებულებებსა და სასამართლოებში საქმის წარმოება ქართულია. ასევეა სამრეწველო და სავაჭრო ორგანოებშიც და რკინის გზებზეც, რომელიც საქართველოს ფარგლებში შედის და თუ რომელიმე ძველი ჩინოვნიკი მას ამახინჯებს, ასეთს დაუყოვნებლივ შესაფერ სასჯელს აძლევენ. ასე რომ, ბაშკირეთის საკრედიტო ამხანაგობაში მომხდარი ამბავი, დიდ არგუმენტად არ გამოგადგებათ.

გადავიდეთ მოქ. ილია ნუცუბიძის „ფილოსოფიაზე“. ის „მეცნიერულის“ თვალსაზრისით უდგება ბოლშევიზმის დამარცხების საკითხს და „ღრმა ანალიზის“ გაკეთების შემდეგ დაასკნვის, რომ ბოლშევიზმის დაცემა აუცილებელია, მაგრამ როდის მოხდება ეს ძნელი სათქმელიაო.

აქ ძალაუნებურად გვაგონდება ხუცები, რომლებიც ხალხს უქადაგებდენ:—მეორეთ მოსვლა მოხდებაო.

მოქ. ილია ნუცუბიძე ძალზე აღშფოთებული ყოფილა ახალგზელების მოქმედებით. ის სწერს:

„უფრო აქტივობას იჩენენ რენეგატები. ისინი, ვინც ბრძოლის პროცესში დასტოვა პატიოსან მებრძოლთა ბანაკი, გადაუდგა ხალხს და მიეკედლა მტერს“...

როგორც ვიცით, გასაბჭოების პირველ დღეებში ნუცუბიძე საქართველოში იმყოფებოდა და ის გაზეთის გამოცემესაც აპირებდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის და შერიგების საქადაგებლად.

შემდეგ არ ვიცით, თუ რა პირობებში მოუხდა მას საზღვარგარედ წასვლა, მაგრამ ხმები კი დადიოდა, რომ მოქ. ილიას ცოტა ნერვები აეშალაო. დღეს კი ეს „ბრძენი“ იმ მუშებს და გლეხებს სვამს საბრალმდებლო სკამზე, რომელზედაც თუ საჭირო იყო პირველად თვითონ უნდა დამჯდარიყო. რომელი ხალხის სახელით ლაპარაკობს მოქ. ნუცუბიძე? მშრომელი ხალხი დღეს გამარჯვებულია და საბჭოთა ხელისუფლებას უდგას გვერდში. ის „რენეგატების“ მუშაობასაც იწონებს. ხოლო რევოლიუციით განაწყენ თავად-აზნაურობის და კაპიტალისტების ჩვენ არ გვეშინია. მათ ქართველი ხალხის უმრავლესობათ ვერ გავასაღებთ.

ხალხის რისხვის ჩვენ, „რენეგატებს“ კი არ გვეშინია, ვინაიდან დარწმუნებული ვართ, რომ ვეხმარებით საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელთა კეთილდღეობის საქმეში, არამედ უნდა გეშინოდეთ თქვენ, რომლებიც, საზღვარგარედ გადახვეწილნი, ოცნებობთ ძველი წესწყობილების აღდგენაზე. ეს მართლაც, რომ მოხდეს, თქვენ გეშინოდეთ მშრომელი ხალხის რისხვის.

რაც შეეხება იმას, რომ, „ხალხისადმი მტრობა ჩვენ გვაძლევს ფიზიკურ საშუალებებს, ნივთიერ ჯილდოს და სხვა პრივილეგიებს“,—უნდა მოგახსენოთ, რომ ვეწევით დაუღალავ შრომას, ჩაბმული ვართ აღმშენებლობაში და ვიღებთ საარსებო წყაროს იმდენს, რამდენიც საჭიროა ადამიანის არსებობისათვის.

თქვენ კი როდესაც საქართველოდან წაღებული ხალხის სიმდიდრე გაანიავეთ, მოწყალებას სთხოვთ ბურჟუაზიულ მთავრობებს და სამაგიეროთ უწევთ მათ ყოველგვარ სამსახურს მშრომელი ხალხის დამონავების საქმეში.

დაგვილოცნია თქვენთვის ეს „სასახელო“ მოვალეობა.

**ხ. ელიაძე.**

# ჩემბერლენი უკან იხევს

ვინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას, მისთვის აშკარაა ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა, რომელიც დაჩვეულია სხვისი ხელით ნარ-ეკლის თხრას, თავის ტრადიციის მიხედვით დაუპირდაპირდა საბჭოთა კავშირს და მოინდომა მისი აფეთქება. ამ მიზნით, მან, შესწყვიტა დიპლომატი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან და გამართა დიპლომატიური „მუსაიფი“ ყველა ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებთან, რომლებზედაც სურდა გავლენა მოეხდინა და ერთი მთლიანი ფრონტით თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს.—შიგნით აფეთქება და ტერორის მოწყობა, გარეთ სამხედრო სამზადისი, პოლიტიკური, ეკონომიური და ფინანსიური ბლოკადა საბჭოთა კავშირებისა. ასეთია ინგლისის პროგრამა საბჭოთა კავშირის გასანადგურებლად. თუ ინგლისი ამ პროგრამას გახახორციელებდა კომუნისტების, კომუნიზმისა და სოციალიზმის მოსპობა იქნებოდა; ეს იქნებოდა მსოფლიო იმპერიალიზმის საბოლოო გამარჯვება და მთელ მსოფლიოში ინგლისის გეგემონიის დამყარება, მაგრამ ინგლისის შუბლმაგრების ასეთი პროგრამა ჯერ-ჯერობით ჰაერში დაკიდებული დარჩა. არა თუ სამხედრო საერთო ფრონტი, არამედ ეკონომიური ბოიკოტიც ვერ გაატარა საბჭოთა რესპუბლიკების საწინააღმდეგოთ.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. მე მოგახსენებთ საბჭოთა ნავთის შეძენის საწინააღმდეგო აგიტაციაზე. რომელიც ინგლისში დაიწყო სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ. ინგლისის ნავთის სამრეწველო კომპანიამ დეკლარაცია გამოსცა: „საბჭოთა ქვეყნების ნავთეული პროდუქტის შეძენა შეუძლებელია მორალური და უფლებრივი პრინციპების თვალსაზრისით. ეს ნავთი საბჭოთა მთავრობას უკანონოთ აქვს ჩამორთმეული კერძო პირებიდან, რითაც კომუნისტებმა დაარღვიეს ყველა უფლებრივი ნორმები... ამიტომ ჩვენ უარს ვამბობთ შემდეგში საბჭოთა კავშირის ნავთის შეძენაზე. ამ დეკლარაციას გამოეხმაურენ ამერიკის და სხვა ქვეყნების სანავთო ტრესტები. ამ რიგად თითქოს შეიქმნა ერთი მთლიანი ფრონტი საბჭოთა ნავთის ბოიკოტისა... მაგრამ ორიოდე კვირაც არ გასულა და ეს „ბოიკოტი“ დაიმსხვრა. „მორალური“ და „უფლებრივი“ პრინციპები არქივს გადაეცა და მასთან ადგილი მოგების ინტერესებმა დაიჭირეს. თურმე იმ დროს, როცა ამერიკის ნავთის ტრესტი ინგლისის ასეთივე ტრესტს „სოლიდარიზაციას“ უკეთებდა—საბჭოთა ნავთი არ ვიყიდოთო, ძველებურად აწარმოებდა საბჭოთა ნავთის შეძენას და მით სამარეს უთხრიდა არა საბჭოთა კავშირს, როგორც ეს ინგლისის ტრესტს სურდა, არამედ თვით ამ უკანასკნელს, რომელსაც ხელიდან ართმევდა საბჭოთა ნავთს და მისგან მიღებულ დიდ მოგებას. —

მალე გამოაშკარავდა ეს „ბოიკოტის“ კომედია და ატყდა ერთი აურ-ზაური ინგლისისა და ამერიკის „ნავთის კოროლებს“ შორის. მათ შორის კონფლიქტი ლამის არის ინგლისის და ამერიკის შორის პოლიტიკური კონფლიქტის საგნად გადაიქცეს.—ეს მაგალითი თვალცხადლივ ამტკიცებს იმას; რომ არც ისე ადვილი ყოფილა იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერესების მორიგება და მათ მიერ ერთი მთლიანი ფრონტის შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეტყობა არც ისე ადვილი ყოფილა უზარმაზარი საბჭოთა კავშირის „კანონგარეშე“ გამოცხადება, მისი პოლიტიკურად და ეკონომიურად გარიყვა. ინგლისის მთავრობა ჟენევაში ნაციათა ლიგის თათბირზე, ერთხელ კიდევ დარწმუნდა იმაში, რომ საბჭოთა კავშირების წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნა შეუძლებელია, რომ პოლონეთი ან სხვა რომელიმე სახელმწიფო არც ისეთი ბალღები არიან, რომ ინგლისის გულისათვის ცეცხლში გადავარდენ.—ემიგრანტებმაც ვერ გაუმართლეს ჩემბერლენს იმედები. ინგლისის მთავრობამ კარგად დაინახა, რომ ინგლისსა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის შეწყვეტით ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელებს, რომ ისინი ყიდულობენ საბჭოთა კავშირის პურს, ნავთს და სხვა საქონელს.—მეორე მხრით, ინგლისის კონსერვატორულ მთავრობას თვით ინგლისში გაუჩნდა დიდი ოპოზიცია, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა მას საბჭოთა კავშირთან გათიშვის ნიადაგზე... ამ გათიშვის პოლიტიკას იწუნებს და ინგლისის ეკონომიური ინტერესებისათვის დამღუპველად სთვლის არა მარტო ინგლისის მუშათა პარტია, არა მარტო ინგლისის ლიბერალები, არამედ თვით კონსერვატორული პარტიის უაღრესად საქმიანი ელემენტებიც კი.

ჩემბერლენიც იძულებულია უკან დაიხიოს. ამის საუკეთესო ნიმუშს ჩვენ ვხედავთ ჩემბერლენის განცხადებაში, რომელიც მან გააკეთა ინგლისის პალატაში 28 ივლისს მუშათა ფრაქციის წარმომადგენლის ტრეველიანის საპასუხოდ. „პალატის წევრმა ტრეველიანმა,—ამბობს ჩემბერლენი,—აქ თავის სიტყვაში დაეყრდნო „იუმანიტე“-ში დასტამბულ წერილებს და განაცხადა, რომ ინგლისის ელჩმა პარიზში კრიუმ გააბა კავშირი უკრაინის არ არსებულ პეტლიურას მთავრობასთან იმ მიზნით, რომ ინტრიგა დაეწყო მთლიანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ვაცხადებ, რომ ეს წერილი სიმართლეს მოკლებულია. არც ჩვენ ელჩს საფრანგეთში და არც სხვა პასუხისმგებელ პირებს ჩვენ საელჩოდან არ დაუკავებიათ არავითარი კავშირი ემიგრანტულ წრეებთან, მიუხედავად ამისა, რომ მე არ ვუცქერი სიმპატიით საბჭოთა ხელისუფლებას, მაინც ძლიერ კარგად მესმის, რომ თუ ჩვენ მხარი დაუჭირეთ ისეთ კომბინაციებს, რომლებსაც რუსეთის დანაწილება უნდა მოყვეს, ასეთი ჩვენი ნაბიჯი ერთობ აამძრავებდა მთელს ერს, დარაზმავდა მას თვისი დღევანდელი ხელისუფლების გარშემო და ეს კიდევ უფრო გაამაგრებდა საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტს და მდგომარეობას“. აქედან ისიც აშკარავდება, რომ რუსეთის განაწილების მოლოდინი, რომელზედაც ამდენ იმედებს ამყარებენ ნ. ჟორდანია და საერთოდ ქართული ემიგრაციის ლიდერები, არც ისე საიმედო ყოფილა. როგორც ხედავთ, ასეთი რაიმეს წესად აგიტაცია, რუსეთის ხალხში, როგორც ჩემბერლენი სრულიად სამართლიანად ამბობს, კი არ დაამხობს საბჭოთახელისუფლებას, პირიქით გაამაგრებს და გააძლიერებს მას. ჩემბერლენის განცხადებაში კიდევ შემდეგია საყურადღებო: ჩვენ არ გვაქვს მიზნად საბჭოებთან კიდევ უფრო გავართულოთ კონფლიქტიო. სავაჭრო ურთიერთობა დარჩეს მათთან, მხოლოდ რაც შეხება დიპლომატიურ კეთილგანწყობილებას, ჩვენ შეგვიძლია მათთან ამის აღდგენა, თუ ამ საგანზე, შეთანხმება მოხდებაო“. უკან დახევაც ასეთი უნდა! როცა არავითარმა ზომამ არ გასჭრა, ახლა შერიგებაზე გველაპარაკება. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ იუდას ამბორია. მაგრამ ის მაინც კარგად ახასიათებს, როგორც საბჭოთა კავშირის ძლიერებას, ისე მის მტრების უძლურებას.

ალ. ხელაძე.

# სანავთო ომი

იმპერიალისტური ევროპა ნახშირის და ლითონის პირმშო შვილია. იმპერიალისტური პოლიტიკა-ბრძმედების და მაღაროების ანარეკლია. მეცხრამეტე საუკუნე სულ ერთიანად ლითონის გარშემო ბრძოლით ხასიათდებოდა. ლითონის მრეწველობის ქვაკუთხედი ქვა-ნახშირი იყო.

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, იჩინა თავი ახალმა ძალამ, რომელმაც თავისებური სახე მისცა იმპერიალისტურ ჭიდილს და კაპიტალისტურ იერარქიას ახალი თავსამტვრევი საკითხები წამოუყენა, რის გადაჭრა გადაწყვეტამ მთელ მსოფლიოს პოლიტიკა ახალ ფაზაში შეიყვანა. ეს ძალა იყო და არის ნავთი.

ნავთი; მიწის ზეთი, როგორც პროდუქტი ძველის ძველად იყო ცნობილი. ნავთს იცნობდენ ძველი ეგვიპტელები. ამაში მცირე აზიის ხალხებიც არ ჩამორჩებოდენ ხოლმე მეზობელ ეგვიპტელებს, ხოლო ძველი სპარსეთის ნავთისადმი გაცნობა უკვე თვით ზოროასტრეს რელიგიურ მოძღვრებაში არის აღნიშნული.

მაგრამ ერთია ცნობა, ან არსებობა პროდუქტის როგორც ასეთისა, ხოლო მისი გამოყენება, მისთვის საქონლის „სახე"ს მიცემა, მაზედ სამეურნეო პერსპექტივების აგება— მეორე საკითხია.

სწორეთ ეს მეორე პრობლემის დაყენება წილად ხვდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს. ნავთის პირველი ნათლისღებას, ასე ვთქვათ მსოფლიო მნიშვნელობის საქონლათ გადაქცევის თარიღი 1859 წელია. სწორედ ამ წელს ერთი მხრით აღმოჩენილი იქნა ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთის უამრავი მარაგი, ხოლო მეორეს მხრით დაარსდა ყოფ. პეტერბურგში „ტრანსკასპიის სავაჭრო საზოგად.". რომელმაც აფშერონის კუნძულზე, ბაქოს მიდამოებში არსებული ნავთის წყაროების ექსპლოატაცია დაისახა მიზნათ. ამ წლიდან იწყება ნავთის ძლევამოსილი წინსვლა, რასაც ტემპის სიძლიერისა და აუცილებელ გამარჯვების შანსეების მხრივ ვერც ერთი საქონელი მეტოქეობას ვერ გაუწევს.

შემდეგი ციფრები ნათლათ გვიჩვენებს ნავთის პროდუქტების დამუშავების საზღაპრო ზრდას.

მთელ მსოფლიოში გადამუშავებულ იქნა:

| | | |
|---|---|---|
| 1970 წ. | 5.799 | ათასი ბარელი |
| 1890 წ. | 76.633 | „ „ |
| 1900 წ. | 149.132 | „ „ |
| 1905 წ. | 215.292 | „ „ |
| 1910 წ. | 327.938 | „ „ |
| 1915 წ. | 427.740 | „ „ |
| 1920 წ. | 694.854 | „ „ |
| 1921 წ. | 759.030 | „ „ |
| 1922 წ. | 851.540 | „ „ |
| 1923 წ. | 1.010.395 | „ „ |

სურათი ნათელია. პროდუქციის ზრდა არაჩვეულებრივია. არცერთ პროდუქტს არ განუცდია ასეთი ჩქარი ტემპით ზრდა.. აქედან ბუნებრივათ ისმება საკითხი: რაშია საქმე? რა უდევს საფუძვლად ნავთის პროდუქციის ზრდას, როგორი კონსტელიაცია შექმნა ამ მოვლენამ სამეურნეო ცხოვრებაში და რა როლი ითამაშა მან მსოფლიო პოლიტიკაში?

თავის ბუნებრივი თვისების მიხედვით ნავთი შეიქნა კაცობრიობისათვის სინათლის, სითბოს და ძალის მომცემ წყაროთ. ამას დაერთო ქიმიურ მეცნიერების განვითარება, რამაც ნავთეულობის გამოყენების საკითხი კიდევ უფრო გააფართოვა. აღნიშნული ამოცანების ასრულება სხვა პროდუქტების საშუალებითაც შეიძლება და ჩვენ ვხედავთ, რომ ნავთს უწევს ძლიერი მეტოქეობის ატანა,—პირველად ყოვლისა ნახშირის და სხვა სათბობ და სინათლის მომცემ პროდუქტების წინააღმდეგ; აქ უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირმა უკვე დაჰკარა იარაღი და პირველობა ნავთს დაუთმო, განსაკუთრებით როგორც სითბოსა და ძალის მომცემმა პროდუქტმა. სინათლის მხრივ ბრძოლა არსებობს წყალსა და ნავთს შორის. ამ ბრძოლაში ნავთი უკანა რიგშია ჩამორჩენილი, ასე, რომ მომავალში შესაძლებელია ამ მხრივ სულ უმნიშვნელო როლი შერჩეს მას.

ნავთის სიძლიერე, მაშასადამე, გამოიხატა უმთავრესად როგორც სათბობ მასალაში და პირველად ეს უნარი გამოიჩინა ისეთ დარგში, რომელიც ერთგვარ ფასოვნობის შემქმნელ ფაქტორათ უნდა ჩაითვალოს. ეს დარგი ნაოსნობაა. რადგანაც ნაოსნობა ერთი უძლიერესი სატრანსპორტო დარგია, ხოლო ნავთის ფასოვნობაზე ტრანსპორტს დიდი გავლენა აქვს. აშკარაა, რომ ნავთეულობას უკვე სათანადო გამოცდა დაუჭერია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ ფართო ასპარეზს ვერ მოიპოვებდა, როგორც მას ამჟამად გააჩნია. ამ საქმეში პიონერის როლი სამხედრო ფლოტმა ითამაშა. საერთოდ ცნობილია, რომ დიდი ბრიტანეთის როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო ფლოტი მთელ ქვეყნიერებაზე ყველაზე უფრო ძლიერია. მეორე ადგილზე სდგას ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები. დიდი ბრიტანეთის სამხედრო ფლოტის 90 პროც. წინააღმდეგ 45 პროც. ომის წინ, ნავთის პროდუქტებით სარგებლობს ძალის და სითბოს მისაღებათ. ჩრდილო ამერიკის კი 82 პროც. ლლოიდის ცნობით 1923 წ. მსოფლიოს მთელი სავაჭრო ფლოტი 24,7 პროც. სარგებლობდა ნავთეულობით (ომის წინ 2,6 პროც.).

აქ ტენდენცია ნათელია. ძლიერი სისწრაფით იდევნება ნახშირი. ეს საკვირველიც არ არის. მას შემდეგ, რაც დიზელის კონსტრუქციის მოტორი გამოგონილ იქნა, ნავთის პროდუქტების მოხმარებას ფართო ასპარეზი გაეხსნა აქ საკმარისი იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ ერთ 8000 ტონიან გემს ერთი რეისისათვის ჰამბურგიდან იაპონიამდე რვაჯერ 5200 ტონა ან 322.400 ფუთი ნახშირი ესაჭიროება.—ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს გემი გზაში რვაჯერ უნდა გაჩერდეს, რომ თვითეულჯერ 650 ტონა ნახშირი მიიღოს გზის გასაგრძელებლად, ხოლო ამავე მანძლის გასარებათ საკმარისია ჰამბურგშივე ერთიანად 750 ტონა ან 46.500 ფუთი ნავთეულის მიღება.

განსხვავება დიდია. როგორც ფასის, ისე დროის და აგრეთვე მასალის შესანახათ საჭირო სივრცის მხრივ. სათბობი მასალა ნახშირიან გემისა რაოდენობის მხრივ ხუთჯერ მეტია, ვიდრე ნავთიანის, მაშინ, როდესაც ძალის მხრით ნახშირი სამჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ნავთეულობა. რიხადზონის გამოანგარიშებით ნავთით მოძრაობაში მოყვანილი დიზელის მოტორის ხარჯი თუ 100 უდრის, ამავე ძალის მიღება ნახშირით დაჯდება 270. ამას თუ დაუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ სანაოსნო საზოგადოებისათვის სხვა ხარჯების შემოკლების და შემოსავლის გაძლიერებას იმით, რომ ნავთის სარგებლობის დროს სათბობი მასალის შესანახათ უფრო ნაკლები სივრცეა საჭირო, აქედან საფრახტო საქონლის მიღების უნარი კი უფრო დიდი (პროპორციონალურათ შემოსავალი ფრახტიდან დიდდება), შემდეგ ნახშირის დამტვირთავი და მიმღები პერსონალი სრულებით საჭირო არ არის, შესაძლებელია მასალის მისაღები პუნქტები ბევრად უფრო შორეული რადიუსის იყოს და აქედან მანძილი უფრო ჩქარა იქნეს გავლილი,—თუ ყოველ ამას გავითვალისწინებთ, ჩვენ დავინახავთ ნავთის უაღრეს უპირატესობას.

ნავთის უპირატესობა სხვა სათბობ და ძალის მომცემ მასალების წინააღმდეგ აშკარათ აღნიშნავს პირველის სიძლიერის ტენდენციას, რამაც ცხადია უდიდესი გავლენა უნდა მოახდინოს მთლიან ეკონომიურ ცხოვრებაზე.

საყურადღებოა გავითვალისწინოთ ნახშირის განდევნის გამო. შექმნილი დიდი ბრიტანეთის მდგომარეობა. ინგლისი წარმოადგენდა ქვანახშირით ყველაზე უმდიდრეს ქვეყანას. 1914 წელში ნაოსნობისათვის საჭირო 80 მილიონ ტონა ნახშირიდან ინგლისი იძლეოდა 60 მილ. ტონას ანუ 75 პროც. მთელი რაოდენობისა. ნავთზე გადასვლამ სათანადოთ შეამცირა ნახშირის საერთო მოხმარება და აქედან ინგლისის ქვა-ნახშირის წარმოებაზედაც ცხადია

უარყოფითი გავლენა მოახდინა. ასეთივე მდგომარეობა შეიქნა სხვა ქვეყნებისათვისაც.

ამრიგათ ბუნებრივათ წარმოიშვა ორი უძლიერესი პრობლემა: 1. ნახშირის წარმოების აწმყო და მომავალი პერსპექტივები და 2. ნავთის შეძენის, მისი წყაროების ალმოჩენა დაპატრონების საკითხი.

ცხადია ასეთი დიდი საკითხი ვიწრო ეკონომიური ცხოვრების ფარგლებში ვერ მოთავსდება, ის გაფართოვდა და უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში ნავთის საკითხი გახდა მსოფლიო პოლიტიკის ერთ უმთავრეს საკითხთაგანათ, რომლის ერთ-ერთ მწვავე პერიოდთაგანს განვიცდით ამჟამად ჩვენ. ეგრეთწოდებულ დეტერდინგის მახინაციების გამო, რაც მხოლოდ ერთ-ერთ ეპიზოდათ ჩაითვლება იმ განუწყვეტელს მოვლენაში, რომელსაც ჩვენ თამამად შეგვიძლიან უწოდოთ საერთოდ სანავთო ომი მხოლოდ კერძოთ კი ომი საბჭოთა წინაალმდეგ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ი. ნარსია.

# ჩინეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ჩინეთის მუშათა კლასი და გლეხკაცობა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ერთის მხრით უცხო სახელმწიფოების იმპერიალისტებისა და მეორე მხრივ საკუთარი ქვეყნის მილიტარისტებისა და რეაქციონური გენერლების წინააღმდეგ.

პირველ ხანებში იმპერიალისტების წინაალმდეგ რევოლიუციონურ ბრძოლას ემხრობოდა აგრეთვე ჩინეთის ბურჟუაზია და ჩინელი ვაჭრებიც.

ისტორიულად ცნობილია, რომ ეროვნული ბურჟუაზია ყოველთვის რევოლიუციონურ მანტიაშია გახვეული იმ დროს, როდესაც მას სჩაგრავს და განვითარების საშუალებას არა აძლევს უცხო ქვეყნის იმპერიალიზმი.

ჩინეთი სწორედ ისეთი ქვეყანა, სადაც განუკითხავად ბატონობენ როგორც ევროპის დიდი კაპიტალისტური ქვეყნები ინგლის-საფრანგეთის სახით, ისე ამერიკისა და იაპონიის კაპიტალისტები.

ზემოხსენებულ ქვეყნების კაპიტალისტების ხელშია ჩინეთის მრეწველობის დიდი უმრავლესობა. კიდევ მეტი, ისინი სარგებლობენ ჩინეთში ხელშეუხებლობით, თითქმის ყველა დიდ ქალაქებში აქვთ საკუთარი უბნები, რომლის ტერიტორიაზე ჩინელს თითქმის გავლის უფლებაც არა აქვს.

ამას ზედ ერთვის აგრეთვე ბოქსიორთა აჯანყების დროს ჩინეთზე იძულებით თავზე მოხვეული სამარცხვინო ხელშეკრულება, რომლის ძალით ჩინეთი ყოველწლიურად უხდის ხარკს ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს.

გარდა ამისა, უცხო სახელმწიფოები სარგებლობენ აგრეთვე საბაჟო უპირატესობით და მრავალი სხვა.

ბოგდიხანის ტახტის დამსხვრევის შემდეგ, როდესაც ჩინეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, მოსალოდნელი იყო, რომ ეს უთანასწორო ხელშეკრულებები გაუქმდებოდა და ჩინეთის ხალხიც თავისუფლად ამოისუნთქავდა.

მაგრამ ეგრე როდი მოხდა.

სუნ-იატ-სენის მცირე ხნის პრეზიდენტობის შემდეგ, პრეზიდენტად წამოესკუპა ყოფილი მეჯინიბე იუან-ში-კაი, რომელიც ქრთამების აღებისა და ხალხის შევიწროების მეტს არაფერს აკეთებდა.

მიუხედავად რესპუბლიკის გამოცხადებისა, ჩინეთში სამოქალაქო ომი ხანგრძლივად ერთხელაც არ შეწყვეტილა და განაწამები ჩინეთის ხალხი მუდამ სისხლს ღვრიდა ამა თუ იმ გენერლის მითითებით და წინამძღოლობით.

ასეთი მდგომარეობით და ხალხის კულტურული ჩამორჩენილობით მშვენივრად სარგებლობდა უცხო ქვეყნების იმპერიალისტები და ისინი ხან ერთ გენერალს გამოიყვანდენ საზოგადო ასპარეზზე და ხან მეორეს.

მათ ინტერესს ყოველთვის შეადგენდა და დღესაც შეადგენს, რათა ჩინეთი მუდმივ სამოქალაქო ომში იყოს გახვეული და პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილებული. ამით უფრო ადვილად შეძლებენ თავიანთი ყაჩაღური ზრახვების განხორციელებას.

ჩინეთის მშრომელი ხალხის ასეთი უმწეო მდგომარეობიდან გამოყვანა მოინდომა სუნ-იატ-სენმა, რომელმაც დაარსა სახალხო პარტია „გომინდანი“.

ამ პარტიის დროშაზე მან დააწერა: მთლიანი ჩინეთის რესპუბლიკის შექმნა, უთანასწორო ხელშეკრულების გაუქმება და იმპერიალისტების განდევნა ჩინეთის მიწაწყლიდან.

ამასთანავე მისი ლოზუნგი იყო აგრეთვე მშრომელი მასების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

თუ გვსურს ნათლად წარმოვიდგინოთ ჩინეთის რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები, უნდა გავეცნოთ გომინდანის პარტიის შემადგენლობას.

ამ პარტიაში თავი მოიყარა ჩინეთის ბურჟუაზიამ, ინტელიგენციამ, ვაჭრებმა, ხელოსნებმა, გლეხობამ და მუშებმა.

რა მიზნები აერთიანებდა ამ „ჭრელ“ მასას ამ პარტიაში?

ბურჟუაზია დაინტერესებული იყო უცხო კაპიტალის განდევნით, ინტელიგენციას ნაციონალური გრძნობები აკავშირებდა მასთან, ვაჭრებს საბაჟო პირობების გაუმჯობესება, გლეხობა მოითხოვდა მიწას, ხოლო მუშათა კლასი ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას და პოლიტიკური უფლებების მოპოებას.

აი ასეთი იყო ის მიზნები, რომლითაც გომინდანი ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა.

მან თავისი საქმიანობა დაიწყო სამხრეთ-ჩინეთის ქალაქ კანტონში. აქ შესდგა კანტონის მთავრობა, რომელიც თავის გარშემო იკრებდა ყველარევოლიუციონურათ განწყობილ ძალებს.

სანამ გომინდანის პარტიაში გაერთიანებულ მასებს ერთი მიზნები ამოქმედებდათ, რევოლიუციონური მოძრაობაც ფართოვდებოდა და თანდათანობით მისი გავლენა ვრცელდებოდა ჩინეთის სხვადასხვა პროვინციებზე.

სუნ-იატ-სენის გარდაცვალების შემდეგ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა გენერალი ჩან-კაი-ში და ფინ-იუ-სიანი.

ჩან-ძო-ლინის ჯარების მიერ პეკინის აღებამ სადაც ფინ-იუ-სიანი ბატონობდა, სახალხო არმია კარგა ხნით მოსწყვიტა რევოლიუციონურ კერას—სამხრეთ ჩინეთს და საკმაო დრო მოუნდა ამ ჯარების ხელახლა თავის მოყრას და ბრძოლის უნარიანობის განახლებას.

მიუხედავად ამისა, რევოლიუციონური გატაცება იმდენად ძლიერი იყო, რომ კანტონის ჯარები გენერალ ჩან-კაი-შის მთავარსარდლობით დღითი-დღე წინ მიიწევდა. რევოლიუციონური მუშების გამოსვლებმა მას არგუნა აგრეთვე ისეთი დიდი სავაჭრო ცენტრის ხელში ჩაგდება, როგორიც ჩინეთისათვის არის შანხაი.

ამ ქალაქში წინად ბატონობდა გენერალი სუნ-ჩუან-ფანი, რომლის ჯარები სასტიკად დაამარცხა კანტონის რევოლიუციონურმა ჯარებმა.

ამ ქალაქის აღებით დასრულდა რევოლიუციის პირველი პერიოდი ჩინეთში.

გამარჯვებული მუშათა კლასი და გლეხობა მოითხოვდა დანაპირების შესრულებას და მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბურჟუაზია დააფრთხო რევოლიუციამ და ის გადაუდგა მას.

გენერალი ჩან-კაი-ში, მანამდის რევოლიუციონური ბრძოლის ხელმძღვანელი, მიეკედლა ბურჟუაზიას და

ტყვიებით გაუმასპინძლდა შანხაისა და ნანკინის მუშებს.

გომინდანის პარტია გაიყო ორათ, ერთი ნაწილი შერჩა ვითომ ძველ პოზიციებს, მეორემ კი ჩან-კაი-შის მეთაურობით შეადგინა ნანკინის მთავრობა.

ამრიგად დაირღვა რევოლიუციის მთლიანობა.

ერთი მთავრობა ამ პარტიის ხელმძღვანელობით არსებობდა უხანში, მეორე ნანკინში.

კანტონშიაც მოხდა კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალება და აქ გაბატონდა ჩან-კაი-შის მიმდევარი გენერალი.

ამით მშვენივრად ისარგებლა ჩან-ძო-ლინმა, რომელმაც ხელახლა მოიკრიბა ძალ-ღონე და ნანკინისა და უხანის წინააღმდეგ გაილაშქრა.

მან სცენაზე გამოიყვანა აგრეთვე აქამდის მიმალული გენერალი სუნ-ჩუან-ფანი.

უხანის მთავრობამ თავისი ჯარების ხელმძღვანელობა გენერალ ფინ-იუ-სიანს მიანდო, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს გენერალი სულაც არაა რევოლიუციონურათ განწყობილი, და მასაც იგივე მიზნები ამოქმედებს, როგორც ჩან-კაი-შის—რევოლიუციისა და მშრომელი ხალხის ინტერესების ფეხქვეშ გათელვა და ღალატი.

ამრიგად როგორც ნანკინმა, ისე უხანმა საბოლოოდ გადაბარგდა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში და დღეს ეს ორი მთავრობა ერთმანეთს ეჯიბრება რევოლიუციონურ მუშების დახვრეტისა და პროფორგანიზაციების დარბევაში.

მათი დროშა ისევ გამთლიანდა, მაგრამ გამთლიანდა არა რევოლიუციის სასარგებლოდ, არამედ კონტრ-რევოლიუციის.

დაისვა საკითხი უხანისა და ნანკინის გაერთიანების შესახებ, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ ჩან-კაი-ში ჩამოსცილდა ჯარების ხელმძღვანელობას.

თუმცა საბოლოო შეთანხმება ჯერ კიდევ არ მომხდარა, მაგრამ ის უკვე დღეების საკითხია.

რატომ უღალატა ჩინეთის ბურჟუაზიამ რევოლიუციას? რა მოიგო მან ამით?

აი, საკითხი, რომლის გარკვევა და ნათელი წარმოდგენის ქონა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

თუ თვალს გადავავლებთ განვლილ ისტორიას და მისი მაგალითებით ვიხელმძღვანელებთ, აქ მოულოდნელი არაფერი არ მომხდარა.

შორს, რომ არ წავიდეთ, რუსეთის რევოლიუციის მაგალითებიც კმარა ამის დასადასტურებლად.

1905 წლის რევოლიუციაში რუსეთის უხერხემალო ბურჟუაზია ერთგვარ რევოლიუციონური ფრაზებით გამოდიოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც რევოლიუცია დამარცხდა, ის დაუყოვნებლივ გვერდში ამოუდგა თვითმპყრობელობას და მშვენივრად კმაყოფილდებოდა კუდშეკვეცილი სახელმწიფო სათათბიროთი.

თებერვლის რევოლიუციამდე ბურჟუაზიას თუ წამოსცდებოდა „რევოლიუციონური" სიტყვა, ეს პასუხისმგებელ სამინისტროს შექმნის მოთხოვნას არასოდეს არ გასცილებია.

რევოლიუციის პირველ დღეებში კი ისევ რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით მოგვევლინა, მაგრამ საქმით ყოველმხრივ ცდილობდა რევოლიუციის გაღრმავების ხელის შეშლას.

კორნილოვის გამოსვლა ბურჟუაზიის პირმშო შვილი იყო.

ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ჩინეთშიაც.

იქაც ბურჟუაზიამ რაკი დაინახა მოახლოებული საფრთხე, როდესაც მის ჯიბესაც უნდა შეხებოდენ, მყისვე დაივიწყა „სამშობლოს სიყვარული", დამოუკიდებლობაზე ზრუნვა და ისევ იმპერიალისტებთან შეთანხმება ამჯობინა, თუმცა, მისთვის ჯერ-ჯერობით ამ უკანასკნელთ არაფერი დაუთმიათ.

ამის შემდეგ მათ რამდენიც არ უნდა ივაჭრონ სუნ-იატ-სენის სახელით, ვითომ მისი პრინციპებისთვის არ უღალატნიათ და კიდევ განაგრძობენ ბრძოლას, ისინი ვეღარავის შეცდომაში ვერ შეიყვანენ.

ჩინეთის ბურჟუაზია საბოლოოდ გადაბარგდა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში.

რა გზით წავა ამის შემდეგ ჩინეთის რევოლიუცია?

დამარცხდება ის საბოლოოდ თუ ხელახლა მოიკრებს ძალებს და კვლავ სამოქმედო ასპარეზზე გამოვა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი.

ბურჟუაზიის ღალატით ჩინეთის რევოლიუცია არ მომკვდარა.

შეიძლება დროებით მან უკან დაიხიოს, მაგრამ შესაფერ ძალების მოკრების შემდეგ, ის ისევ ეკვეთება მოწინააღმდეგეს და უკანასკნელ გადამჭრელ ბრძოლას გაუმართავს მას.

ერთხელ გაღვიძებული ჩინეთის მრავალმილიონიანი გლეხობა და მუშათა კლასი შესძლებს გამონახოს თავისი წრიდან შესაფერი ხელმძღვანელები, შექმნას მტკიცე ორგანიზაცია, გაერთიანდეს რევოლიუციონური დროშის ქვეშ.

ჩინეთის ახალგაზრდა კომუნისტური პარტია, რომელიც დღეს კანონგარეშე არის გამოცხადებული და მის საუკეთესო წევრებს გილიოტინით უმასპინძლდებიან, მოახერხებს უკმაყოფილო მასების თავის მოყრას, მტკიცე ორგანიზაციაში გაერთიანებას და წაიყვანს ამ მასებს საბრძოლველად როგორც უცხო იმპერიალისტების წინააღმდეგ, ისე საკუთარი ქვეყნის ჯალათების გასანადგურებლადაც.

ამ ბრძოლაში ჩინეთის მშრომელი ხალხის მხარეზე იქნება საბჭოთა კავშირის მშრომელთა თანაგრძნობა. ის ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ჩინელ მუშებს და გლეხებს.

ეს დღე შორს არ არის.

ამის თავდებია ჩან-კაი-შის ჯარების გახრწნა და უხანის მთავრობის ჯარებში გახშირებული აჯანყებები. ამის თავდებია იმ რევოლიუციონური ჯგუფის შექმნა, რომელსაც სუნიატ-სენის ქვრივი მეთაურობს და რომლის ჯარები მიიწევს წინ კანტონის ხელში ჩასაგდებად, რათა კვლავ დარაზმონ რევოლიუციის ამ ყოფილ ცენტრში ჭეშმარიტად რევოლიუციონური მუშები და გლეხობა.

**ასოთ-ამწყობი.**

# საბჭ. საქართველოს მიღწევები მრეწველობის დარგში

მიუხედავათ იმისა, რომ საქართველო უხვათ არის დაჯილდოვებული ისეთი მრავალფეროვან ბუნებრივი სიმდიდრით, რომელიც ჰქმნის ძლიერ შესაძლებლობას მრეწველობის განვითარებისათვის (ენერგეტიული რესურსები—„თეთრი" ნახშირი და ქვანახშირი, მადნეულობა, სამრეწველო ხასიათის ტყეები და სხვ.) ჯერ კიდევ საქართველო, მაინც წარმოადგენს სასოფლო-მეურნეობის ქვეყანას. მრეწველობის როლი სახალხო მეურნეობის დოვლათის შექმნაში მეტის-მეტად მცირეა. სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში მრეწველობის წილი ჯერ კიდევ არ აღემატება 20—25 პროც.

საქართველოს ასეთი არა ნორმალურ ეკონომიური მდგომარეობა აიხსნება უმთავრესად შემდეგი მიზეზით: რევოლიუციამდე რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობას საქართველო ჩაყენებული ყავდა კოლონიალურ ქვეყნის პირობებში, ის წარმოადგენდა რუსეთის მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ბაზას—მისი პროდუქციის გამსაღებელ ბაზარს. რასაკვირველია, აქ ადგილობრივ მრეწველობის განვითარებაზე არავინ არ ზრუნავდა.

რევოლიუციის შემდეგ მდგომარეობა დიამეტრალურათ შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მოწოდებულია შექმნას მტკიცე პირობები სოციალიზმის განხო-

რციელებისათვის, დაადგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზას. ინდუსტრიალიზაცია ხომ დედა ბოძია სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში! საბჭოთა ხელისუფლება ერთნაირ მზრუნველობას იჩენს საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა დიდი თუ პატარა რესპუბლიკების მიმართ და აწარმოებს მუშაობას ინდუსტრიალიზაციის საქმეში იმ პოტენციალურ ბუნებრივ შესაძლებლობის მიხედვით, რასაც იძლევა ესა თუ ის რესპუბლიკა.

ჩვენ ვხედავთ, რომ პოტენციალურ შესაძლობის ნიადაგზე ხდება ჩქარი ნაბიჯით საქართველოს მრეწველობის განვითარება. სანამ მრეწველობის აღმშენებლობის საქმის დახასიათებას შეუდგებოდეთ, საჭიროა შევჩერდეთ იმ საკითხზე, თუ როგორი ტემპით მიმდინარეობდა ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში მრეწველობის პროდუქციის ზრდა. ამ მიზნისათვის მოგვყავს შემდეგი პატარა, მაგრამ ფრიად დამახასიათებელი სტატისტიკური ცხრილი:

საქართველოს ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია:

| წ ე ლ ი | საერთო პროდუქციის ათ. მან. | | მ უ შ ე ბ ი | |
|---|---|---|---|---|
| | აბს. | % % | აბს. | % % |
| 24/25 | 37.862 | 100 | 11.332 | 100 |
| 25/26 | 54.702 | 144,5 | 13.939 | 123 |

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ საქართველოს მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 25—26 წელში იძლევა მატებას 44,5 პროცენტით, ხოლო მუშების რიცხვი გაიზარდა 23 პროცენტით.

პროდუქციის ასეთი ზრდა ერთი წლის განმავლობაში მაჩვენებელია იმისა, რომ თუ რა გასაოცარი ენერგიით სწარმოებდა 25—26 წელში მრეწველობაში მუშაობა, თუ როგორი სისწრაფით მოხდა ყველა შესაძლებლობათა გამოყენება. აქ ჩვენ ვაჭარბებთ საკავშირო მრეწველობის ზრდას, სადაც 25—26 წელში შედარებით წინა წელთან გვაქვს 40 პროც. მატება.

პროდუქციის და მუშა-ხელის არა პროპორციული ზრდა, მუშების რიცხვის ზრდის ჩამორჩენილობა, აიხსნება იმ გარემოებით რომ 25—26 წელში ადგილი ჰქონდა ჩვენი სამრეწველო წამოწყებებში წარმოების რაციონალიზაციას, შრომის მეხანიზაციას, მუშის ინტენსივობის ნორმალურ დონეზე აყვანას, ყოველივე ამან ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას და ამით მივიღეთ ის, რომ მხოლოდ 23 პროცენტით გადიდებულმა მუშების რიცხვმა მოგვცა 44,5 პროცენტით მეტი საერთო პროდუქცია.

უნდა ითქვას, რომ 25—26 წელში თითქმის დამთავრდა მრეწველობის აღდგენითი პერიოდი, ჩვენ მივაღწიეთ ომის წინა დროის დონეს.

ინტერეს მოკლებული არ იქნება, თუ ჩვენ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას იმ საკითხზე, თუ როგორი ტემპით მიმდინარეობს ზრდა ცალკე სახელმწიფო მრეწველობისა. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ზრდა უსწრებს საერთოდ ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის ზრდას. აქ ჩვენ გვაქვს 52,72 მატება:

24—25 წელში სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრის 28,7 მილ. მ., ხოლო 25—26 წელში ის ავიდა 43,8 მილ. მან.—საქართველოს ს. მ. უ.საბჭოს მრეწველობის სურათს იძლევა შემდეგი ცხრილი:

| წ ე ლ ი | საერთო პროდუქციის ათ. მან. | | მ უ შ ე ბ ი | |
|---|---|---|---|---|
| | აბს. | % % | აბს. | % % |
| 24/25 | 14.510 | 100 | 5281 | 100 |
| 25/26 | 21.520 | 148,3 | 5606 | 106,2 |

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ „სმუს“-ის მრეწველობის პროდუქცია წლის განმავლობაში იძლევა 48,3 პროც. მატებას, რაც აჭარბებს ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის ზრდას; მუშების რიცხვი მხოლოდ 6,2 პროცენტით მატულობს; აქ ჩვენ ვამჩნევთ, რომ „სმუს“-ის მრეწველობაში მუშა ხელის მატება შედარებით პროდუქციის მატებასთან კიდევ უფრო ჩამორჩენილია, ვინემ ეს იყო ცენზიანი მრეწველობაში საერთოდ. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ რაციონალიზაცია, მექანიზაცია და სხვ. „სმუს“-ის მრეწველობაში ხდებოდა უფრო ფართე მასშტაბით; მაგალითად ჩვენ ვიცით, რომ ძირითადი კაპიტალის განახლებაზე აქ უკვე 25—26 წელში 1,5 მილ. მეტი დაიხარჯა; ამით, რასაკვირველია, შრომის ნაყოფიერება უფრო მეტი ზრდას იძლევა და საერთო პროდუქციაც, მიუხედავათ მუშების მცირეოდენი ზრდისა,—48,3 პროცენტით მატულობს.

უნდა ითქვას, რომ 25—26 ამოწურული იქნა ძველი ტეხნიკური მოწყობილობის შესაძლებლობა, მოხდა ძველად დარჩენილ ძირითად კაპიტალის სავსებით გამოყენება. შემდეგი ზრდა მრეწველობისა ეყრდნობა ტეხნიკურ მოწყობილობის სრულ განახლებას და ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგებას.

საბჭოთა ხელისუფლება წარმოუდგენელის სისწრაფით ეწევა სამრეწველო აღმშენებლობას. ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები. 25—26 წელს სამრეწველო აღმშენებლობაზე საბჭოთა კავშირში დაიხარჯა 180 მილ. მან., საქართველოში საქ. „სმუს“-ის ახალი ქარხნების აშენებაზე დაიხარჯა 2,5 მილ. მან.

რომ ყველასათვის დამარწმუნებელი იქნეს ამ მხრივ გაკეთებული საქმეები, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია კონკრეტიულად დავასახელოთ, თუ სად, რომელი და რა სიძლიერის ქარხნები აშენდა ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოში და აგრეთვე მოვიხსენიოთ ის ქარხნებიც, რომელთა შენება უკვე დაწყებულია და ახლო მომავალში დაიწყებს მუშაობას.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ შევჩერდებით იმ მრავალ რიცხოვან ქარხნებზე, რომელთა შენებას აწარმოებს სამაზრო აღმასკომები და რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ ადგილობრივ რაიონს არ გასცილდება.

ჩამოვთვალოთ უკვე დამთავრებულ და დამუშავებულ ქარხანა-ფაბრიკები, **ხე- ტყის ქარხნები:** 1) მცხეთის სახერხი ქარხანა, სადაც საშუალოდ მუშაობს 100 მუშა. ქარხნის წლიური წარმადობა უდრის 600 ათას კვად. ვ. დახერხილ მასალას.

2) შამგონის ხის სახერხი ქარხანა, იმუშავებს 150 მუშა, ქარხნის წლიური წარმადობა 1.200 ათასი კვ. ვ. მასალა. მუშაობს მიმდინარე წლის ივლისიდან.

3) მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა—350 მუშით, წლიური წარმადობა—140 ათასი ვენის სკამი, დაიწყო მუშაობა ა.-წ. 25 თებერვლიდან.

4) ბორჯომის სამოქლონო ქარხანა (клепочный завод) 200 მუშით, წლიური წარმადობა 600 ათასი კომპლექტი—დაიწყო მუშაობა 25 თებერვალს.

სულ ოთხი ხის დამუშავების ქარხნებზე, სადაც იმუ-

შავებს 625-მდე მუშა, დაიხარჯა დაახლოვებით 2.400 ათასი მან.

**2 აბრეშუმის ნაკეთობათა დამამზადებელი ფაბრიკები:**

,1) ხონის აბრეშუმის ამოსხვევი—240 მუშა—წლიური წარმადობა—20.275 კილო გრეჟა(ორი ცვლა მუშაობით); დაიწყო მუშაობა 15 აგვისტოს 1926 წელს; ამჟამად ფაბრიკამ ნახევარი წლის განმავლობაში (26—27 წელში) გამოიმუშავა ფაქტიურად 7.963 კილ. გრეჟა. (336,5 ათასი მან. ღირებული).

2) თელავის აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკა—140 მუშა— წლიური წარმადობა 10.980 კილო გრეჟა. დაიწყო მუშაობა 1 აგვისტოს 1926 წელს. მისი ნახევარი წლის პროდუქცია ფაქტიურად 26—27 წელში უდრის 4.628 კილო გრეჟას (196,8 ათას მან.) ღირებულს.

3) აბრეშუმის ამოსახვევი და საგრეხი ფაბრიკები ოზურგეთში 300 მუშა.—წლიური წარმადობა 15.200 კილო გრეჟა და 8.000 კილო დაგრეხილი ძაფი,—დაიწყო მუშაობა 1 ოქტ. 26 წელს.

ოთხივე აბრეშუმის ფაბრიკების აშენება დაჯდა 513 ათასი მან., სრული დატვირთვის დროს იმუშავებს 690 მუშა.

ახლო მომავალში (1—2 თვეში) დამთავრდება და დაიწყებს მუშაობას **ბარიტის წისქვილი** ქუთაისში, სადაც იმუშავებს 50 მუშა, საათში წისქვილი მისცემს 3.000 კილო დაფქვილ ბარიტს; წისქვილის აშენება ჯდება დაახლოებით 570 ათასი მან.

ეხლა ჩამოვთვალოთ ის ქარხნები, რომელთა აშენებას უკვე შეუდგენ და რომელნიც დიდი წონისაა ჩვენს სამრეწველო აღმშენებლობაში.

1) მაუდის ფაბრიკა ქ. თბილისში (დიდუბეში), სადაც იქნება ჩაბმული 800 მუშა, წლიური წარმადობა მისი განზრახულია 657 ათასი მეტრი კამვოლის საქ.,40 ათასი მაუდი, 80 ათასი კილ. ნართი.—დამთავრდება 1928 წელს.

მაუდის ფაბრიკის აშენება დაჯდება დაახლოებით 5.425 ათასი მან.

2) ქაღალდის ფაბრიკა ჯვარში (ზემო-სვანეთი)—1000 მუშა—ერთი მილიონი ფუთი ქაღალდი წელიწადში შენება დამთავრდება 1930 წელს; ფაბრიკა დაჯდება—13 მილიონი მან.

3) ცემენტის ქარხანა კასპში—250 მუშა—წლიური წარმადობა გათვალისწინებულია 700 ათასი ბოჩკა ცემენტი—დამთავრდება 1928 წელს; ქარხნის აშენება დაჯდება დაახლოებით 3.100 ათასი მან.

აქ ჩამოთვლილი ყველა ახლად აშენებული ფაბრიკა-ქარხნები სულ რიცხვით—8 (ოთხი ხის დამუშავების და ოთხი აბრეშუმის) და ის ქარხნები, რომელთა აშენებას უკვე შეუდეგენ და რომელნიც ახლო მომავალში დაიწყებს მუშაობას—რიცხვით 4 (ბარიტის წისქვილი, ქაღალდის, მაუდის ფაბრიკები და ცემენტის ქარხანა) აბამს მუშაობაში მუშების საგრძნობ რიცხვს, დაახლოებით 3.500 მუშას. როგორც მოხსენებულ იყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაბრიკა-ქარხნების აშენებაზე გაღებულია ძლიერ დიდი თანხები, დაახლოებით 25 მილიონი მან.

აქ მოყვანილ ფაქტებს თუ დაუმატებთ საქართველოს ელექტროფიკაციისათვის გაკეთებულ საქმეს (ზაჰესი, აბაშის და აჭარის-წყლის გიდრო-სადგურები, რიონჰესი) ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ურწმუნო თომებიც კი დარწმუნდებიან იმაში, რომ საქართველო სდგას ეკონომიურ აყვავების მტკიცე ნიადაგზე და საბჭოთა კავშირთან ერთად სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ იმ სააღთქმო ქვეყნისაკენ, რომელსაც სოციალიზმი იწოდება.

ლადიკო პაპავა.

# დელეგატ ქალთა არჩევნების გამო

პირველ სექტემბრიდან იწყება დელეგატ-ქალების არჩევნები.

ამ კამპანიის ღირსეულად ჩატარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

რომ ნათლად გავითვალისწინოთ მშრომელ ქალთა როლი სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში, ამიტომ საჭიროა შევეხოთ ქალთა უფლებრივ მდგომარეობას, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ქალს უცქერიან ისე, როგორც გასართობ საგანს. მრავალ დემოკრატიულ ქვეყნებში ქალი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს. ეკონომიურად კი ის დამოკიდებულია მამაკაცზე.

მართალია მრეწველობის განვითარებამ გზა გაუხსნა ქალთა შრომის გამოყენებას. დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში მილიონობით ითვლებიან მუშა-ქალები, რომლებიც უმთავრესად ჩაბმულია საფეიქრო მრეწველობაში, მაგრამ ქალის შრომა სრულებითაც არ ფასდება ისე, როგორც მამაკაცის.

მათ გაცილებით ნაკლებ შრომის ხელფასს აძლევენ დამქირავებელი კაპიტალისტები, ვინემ მამაკაცებს.

ამ მხრივ ქალთა შრომა ერგვარ კონკურენციის საგნადაც აქვთ მიჩნეული ფაბრიკა-ქარხნების პატრონებს, მუშა-მამაკაცების წინააღმდეგ.

ყველა ამას ზედ ერთვის აგრეთვე უფლებრივი ნორმების უქონლობა.

გარდა პოლიტიკურ უუფლებობისა, მუშა-ქალი მოკლებულია აგრეთვე ხეირიან დაზღვევას, მშობიარობის დროს დასვენებას და მრავალი სხვა.

რა უფლებებით სარგებლობს ქალები საბჭოთა კავშირში?

ოქტომბრის რევოლიუციამ ერთ მთავარ ლოზუნგად დაისახა ქალთა განთავისუფლება, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად.

ქალი აქ სარგებლობს ისეთივე უფლებებ.ით,როგორც მამაკაცი

ლენინის ცნობილი ლოზუნგი; რომ „მზარეულ ქალსაც უნდა შეეძლოს სახელმწიფოს მმართვა-გამგეობაო", ეს ცარიელი სიტყვები, როდი გახლავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალი უნდა ამაღლდეს თავისი ცოდნით იმ დონემდე, რომ მას მართლაც შეეძლოს სახელმწიფო საქმეების მმართვა-გამგეობა.

მართალია, ამ ცნობილ ლოზუნგის განხორციელებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იქნება საჭირო, მაგრამ ამას აქვს თავისი გასამართლებელი საბუთები.

ყველამ კარგად ვიცით, თუ რა უუფლებო, მონურ პირობებში უხდებოდა ქალს ცხოვრება თვითმპყრობელობის დროს.

ასეთმა პირობებმა მას მოუსპო შესაძლებლობა თვით განვითარებას დასწაფებოდა და სწავლა-განათლება მიეღო.

ამიტომ რევოლიუციონურ მოძრაობაში ქალების როლი, შედარებით ძალიან მცირე რაოდენობით განისაზღვრებოდა.

მართალია პეტროგრადის ქუჩებში თებერვლის რევოლიუციის დროს პირველად ქალებმა დაიწყო გამოსვლები თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ ეს იყო არა რევოლიუციონური შეგნებით გამოწვეული, არამედ, უმთავრესად სტიქიური აღელვებით, რაც შიმშილობის შედეგი იყო.

ვიმეორებთ, ყოფილ რუსეთის იმპერიაში ქალები კიდევ უფრო იყვენ დაბეჩავებულნი, ვინემ დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ გარემოებას იმ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია და ქალთა კულტურულ დონის ასამაღლებლად მიიღო ყოველგვარი ზომები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მეცადინეობას ტყვილად არ ჩაუვლია.

დღეს საბჭოთა კავშირში ქალი პოლიტიკურ შეგნებით ყველა ქვეყნების ქალებზე უფრო მაღლა სდგას.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, გარდა იმისა, რომ ქალთა შრომის ხელფასი გათანასწორებულია მამაკაცის

შრომასთან, გარდა იმისა, რომ დღეს ქორწინება თავისუფალია ყოველგვარ ძალდატანებისაგან და ქალი აღარ არის მამაკაცის მონა, როგორც ის წინად იყო, ქალებისათვის არსებობს აგრეთვე სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც მას ანიჭებს მრავალ პრივილეგიებს მამაკაცთან შედარებით.

ესენი გახლავთ ქალთა შრომის აკრძალვა მავნე წარმოებებში, ღამით მუშაობა, ფეხძიმეობის დროს ოთხი თვის შევბულება სრული ხელფასის შენარჩუნებით და სხვა.

საბჭოთა კავშირში ქალი ჩაბმულია აგრეთვე პოლიტიკურ საქმიანობაში. საბჭოები, კოპერაცია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა, მათი სამოქმედო ასპარეზის ადგილებია.

როგორ მუშაობას აწარმოებენ ქალები ამ ორგანიზაციებში?

ისინი მამაკაცებთან ერთად ეწევიან იმ შრომას, რომელსაც მოითხოვს მშრომელთა კეთილდღეობის და სოციალისტური აღმშენებლობის საქმე.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ქალთა საკმაო რიცხვი ჩავაბათ საზოგადოებრივი მუშაობის ფერხულში.

განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი დიასახლისების პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმის შესახებ.

თუ წარმოებაში ჩაბმული ქალი უფრო ადვილად ერკვევა პოლიტიკურ საკითხებში და აქტიურად გამოდის საზოგადო საქმიანობაში, ეს სრულებითაც არ შეიძლება ითქვას ოჯახის დიასახლისებზე.

ისინი ჯერ კიდევ პოლიტიკურად ჩამორჩენლები არიან.

და სწორედ აქ მართებთ დელეგატ-ქალებს მათი უნარიანობის გამოჩენა. იმათმა მთავარი მუშაობა სწორედ დიასახლის ქალებში უნდა გააჩაღონ.

ფართო პროპაგანდა-აგიტაციის გზით უნდა გავხადოთ შესაძლებელი ქალთა ფართო მასების ჩაბმა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად ქალთა შორის მუშაობას.

სოფელი კიდევ უფრო ჩამორჩენილია ქალაქთან შედარებით, მიუხედავად ამისა, იქ კიდევ უფრო ბევრია გასაკეთებელი ქალების მიერ.

სოფლის საბჭოებში, კოოპერატივებში, გლეხკომებში და თავისუფალ ორგანიზაციებში, გათვითცნობიერებულ ქალს შეუძლია დიდი საქმის გაკეთება.

ყველა ეს საკითხები, გადაუდებელ ამოცანად აყენებს ჩვენს წინაშე აქტიური მონაწილეობა მივიღოთ დელეგატ-ქალთა გადარჩევების საქმეში.

ფართო აგიტაციის საშუალებით საარჩევნო კრებებზე უნდა მოვიზიდოთ მშრომელ-ქალთა დიდი უმრავლესობა და დელეგატებად არჩეულ იქნენ მომზადებული და მუშაობის ხალისით გატაცებული ელემენტები.

ვიმეორებთ ქალთა შორის მუშაობის გაცხოველებას, მათ გათვითცნობიერებას და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის და ამიტომ დელეგატ-ქალების გადარჩევები უნდა ჩატარდეს კიდევ უფრო გაცხოველებით, ვინემ ის აქამდე ტარდებოდა.

ამ გადარჩევებში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ყოფილ მენშევიკ ქალთა მასებმაც.

**დაინტერესებული.**

# ყოფილ სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ხმა

საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის წინსვლა, მისი სამეურნეო საფუძვლების გამტკიცებამ, მსოფლიო კაპიტალი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის აამოძრავა. საერთაშორისო იმპერიალიზმი—ინგლისის მეთაურობით—მთელი ქვეყნის რეაქციონური, ანტი-საბჭოთა ძალების მობილიზაციას ახდენს და მსოფლიოში პირველ პროლეტარულ რესპუბლიკას სისხლისმღვრელი ომით ემუქრება.

იმთავითვე ოქტომბრის რევოლიუციამ და საბჭოთა წესწყობილების დამყარებამ მსოფლიო ბურჟუაზიის მხრით შეურიგებელი წინააღმდეგობა გამოიწვია. მთელი კაპიტალისტური მსოფლიო საბჭოთა ქვეყნების დასამხობათ აღსდგა. იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობდენ თავის შეიარაღებული ჩარევით საბჭოთა ქვეყნების შინაურ საქმეებში, ანუ ინტერვენციით დაემხოთ მშრომელთა დიქტატურა—საბჭოთა ხელისუფლება და ბურჟუაზიის ბატონობა აღედგინათ. მაგრამ საბჭოთა სახელმწიფომ შესძლო შინაური კონტრ-რევოლიუციის გასრესა და გარსშემორტყმული მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს მოგერიება, ამიტომ როდესაც მსოფლიო იმპერიალიზმმა ველარ მოახერხა იარაღის საშუალებით საბჭოთა კავშირის დამარცხება, მან გადასწყვიტა მშვიდობიანი გზით, ეკონომიური, ზეგავლენით დაემარცხებია სოციალისტური აღმშენებლობის პირველი ქვეყანა.

საერთაშორისო ბურჟუაზიისა და აგრეთვე მეორე ინტერნაციონალის მესვეურებს იმედი ქონდათ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ისევ ძველი სამეურნეო გზით წაიყვანდა საბჭოთა რესპუბლიკებს, რომ იგი კაპიტალიზმის აღდგენას შეუწყობდა ხელს; ამით კი პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა სოციალისტურ აღმშენებლობას საფუძველი გამოეშლებოდა და საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკა მსოფლიო კაპიტალის გავლენაში მოექცეოდა.

მაგრამ მსოფლიო კაპიტალის მესვეურთა და მათი დამქაში მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა იმედები არ გამართლდა. საბჭოთა სამეურნეო ცხოვრების კაპიტალისტურად გადაგვარება არ მოხდა. პირიქით, ახალი ეკონომიური პოლიტიკა საფუძვლად დაედვა საბჭოთა მეურნეობის სოციალისტური მიმართულებით განვითარებას; საბჭოთა ქვეყნების მსხვილი მრეწველობა სოციალისტურ საფუძვლებზეა გამაგრებული: საერთოდ მსხვილი საწარმოვო საშუალებანი განსაზოგადოებულია და იგი პროლეტარული ხელისუფლების განკარგულებაში იმყოფება. კაპიტალისტური სამეურნეო სისტემის ნაშთები თანდათანობით ისპობა საბჭოთა მეურნეობაში და ამით მზადდება მტკიცე ნიადაგი გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ეს ფაქტი სავსებით ნათელყო ჟენევის საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე ორი სამეურნეო სისტემის: კაპიტალისტური და საბჭოთა სოციალისტურის დიამეტრალურად დაპირდაპირებამ. აქ საქვეყნოდ გამოაშკარავდა ერთის მხრით ევროპა-ამერიკის კაპიტალისტური მეურნეობის წინააღმდეგობათა და უგეგმობით სავსე ბუნება, ხოლო მეორეს მხრით საბჭოთა სოციალისტური მეურნეობის გეგმიანობა, მისი საღი ბუნება და სრული უპირატესობა.

ჟენევის კონფერენციაზე ერთხელ კიდევ დადასტურდა ის გარემოება, რომ თვით მეორე ინტერნაციონალის სოციალისტთა მიერ დაწერილ რეცეპტებსაც აღარ შეუძლია გამოამთელოს რღვევისა და დაშლის უკურნებელი სენით შეპყრობილი კაპიტალიზმის ორგანიზმი, რომ ერთად-ერთი ხსნა, ერთად-ერთი გამოსავალი მსოფლიო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნაშია.

გარდა იმისა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების შინაგანი, სამეურნეო განვითარება ახალი სოციალისტური გზით მიემართება და იგი თავის სრული გამარჯვებით ემუქრება კაპიტალიზმს, საბჭოთა ქვეყნების გავლენა აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებსა და მთელი ქვეყნის მშრომელებზე თანდათან ძლიერდება, რადგან მათში საბოლოოთ მტკიცდება ის შეგნება, რომ მათი განთავისუფლება მხო-

ლოდ ოქტომბრის რევოლიუციის დროშის ქვეშ დარაზმვით მოხდება.

აი, ეს ძთავარი მიზეზები, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში გამოიწვია საბჭოთა ქვეყნებსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გამწვავება. საერთაშორისო იმპერიალიზმმა გადასწყვიტა შესცვალოს თავისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან და ამ უსაშინელეს მტრის წინააღმდეგ შეიარაღებულ გზაზე გადავიდეს.

საერთაშორისო რეაქციის მესვეურის—ინგლისის მზაკვრული პოლიტიკა საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ ინგლისს-საბჭოთა დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტით დაგვირგვინდა.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და საბჭოთა ქვეყნებს შორის ურთიერთობის გამწვავებამ, ჰაერში დატრიალებულმა ომის სუნმა, ინგლისის შუბლმაგართა გამოსვლამ აამოძრავა, გამოაცოცხლა და ფრთები შეასხა ყველა ჯურის თეთრგვარდიელებს-მონარქისტებიდან დაწყებული და მენშევიკებით გათავებული.საერთაშორისო მდგომარეობით გართულებით იმედაღძრულმა პოლიტიკურად გახრწნილმა საქართველოს მენშევიზმმა ხელახლა მორთო თავის ცოფიანი ყეფა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აგერ მეშვიდე წელია რაც ქართველი მენშევიკური კონტრ-რევოლიუციის მეთაურები დაეხეტებიან ჩემბერლენ-პუანკარეების კაბინეტის კარებზე და თვალცრემლიანი ევედრებიან დასავლეთის იმპერიალისტებს, რათა მათ „ჯვაროსნული" ომი მოაწყონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და „დამოუკიდებელ საქართველოში" ბატონობა ჟორდანია-რამიშვილებს დაუბრუნონ;; ისინი კაუტსკი-მაკდონალდების ლოცვა-კურთხევით საზიზღარ პროვოკაციულ მუშაობას აწარმოებენ საბჭოთა საქართველოს მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს მენშევიზმის ლიდერებმა კარგი ხანია რაც აშკარათ გამოამჟღავნა თავის კონტრ-რევოლიუციონური სახე და ბუნება. საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში მათ საბოლოოთ უღალატეს ქართველ მუშებსა და გლეხებს და მათ შეურიგებელ კლასიურ მტრებს—ქართველ მემამულეებს, ბურჟუაზიას, ვაჭარ-სპეკულიანტებს ამოუდგენ გვერდში.

ქართულმა მენშევიზმა მისი ბელადის ნ. ჟორდანიას პირით იმთავითვე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე გადმოისროლა ლოზუნგი—ერთიანი, მთლიანი ფრონტი—საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. და ეს ერთიანი ფრონტი შეიქმნა ქართველი ბურჟუაზიის, მემამულეების, ღვდლების, კათოლიკოზებისა და ბერებისაგან, ე. ი. მუშათა კლასის მოსისხლე კლასიური მტრებისაგან.

ამავე დროს საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებათ გადაქცეული ქართული მენშევიზმის ბელადები—ბურჟუაზიის,მემამულეების,ღვდლების, კათოლიკოზებისა—საქართველოში იმპერიალისტური ინტერვენციის მოწყობისაკენ მიმართავდენ. ასეთი იყო საქართველოს მენშევიზმის ის ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელიც აგვისტოს აჯანყებით დაგვირგვინდა. დღეს ამაოთ იმართლებს თავს მენშევიზმის გაკოტრებული ლიდერი—ჟორდანია და ისტორიის სამსჯავროს წინაშე პასუხისმგებლობის მოხსნას ცდილობს. შეიარაღებული აჯანყება და ინტერვენცია მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასამხობათ, აი ის დირექტივა, რომელიც მიცემული ქონდა ჟორდანიას თავის აგენტებისათვის აგვისტოს ავანტიურის წინ. **ასე რომ აგვისტოს ისტორიული სისხლი კისრათ აწევთ საქართველოს მენშევიზმის ლიდერებს, მათ ხელები გასვრილი აქვთ ქართველი მუშებისა და გლეხების სისხლში.**

აგვისტოს სისხლიანმა ავანტიურამ პოლიტიკურად დაასამარა საქართველოს მენშევიზმი. ქართველმა ხალხმა უკვე ზურგი შეაქცია მათ, ვინც მის ეროვნულ ბედიღბალს ასე ცინიკურათ ეთამაშებოდა და დღეს იგი ამაყობს იმით, რომ შედის, როგორც სრულუფლებიანი წევრი საბჭოთა რესპუბლიკების დიდ ოჯახში, რომელსაც დედამიწის ერთი მეექვსედი უჭირავს და სადაც მშრომელთა განთავისუფლების წითელი დროშა ფრიალებს.

ჩვენს ხალხში ამ ექვსი წლის განმავლობაში უკვე საკმაოდ განმტკიცდა შეგნება იმისა, რომ მისი მატერიალური და სულიერი აღორძინება მარტო საბჭოთა წყობილების პირობებშია შესაძლებელი, რომ მისი მომავალი მტკიცედ არის დაკავშირებული ოქტომბრის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებასთან.

საბჭოთა ხელისუფლების ექვსი წლის არსებობა საქართველოში სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე უდიდესი მიღწევებით გამოიხატა. ჩვენს მეურნეობას მტკიცე საფუძველი ელექტროფიკაციის ფართო განვითარების ნიადაგზე ეყრება. სახელმწიფო შემოსავლის უდიდესი ნაწილი კულტურული აღორძინების, სწავლა-განათლების საქმეზე იხარჯება.

სწორედ ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევს ჟორდანია - რამიშვილებს; საბჭოთა ხელისუფლების თითოეული მიღწევა სამეურნეო თუ კულტურულ ფრონტზე მათ გულს სასიკვდილო ლახვრათ ესობა. ამიტომ ისინი ახალი ავანტიურისათვის ამოქმედდენ და ერთხელ კიდევ მოუხმეს თავის აგენტებს.

ინგლისელ შუბლმაგარების ანტი-საბჭოთა პოლიტიკა ამ შემთხვევაში სავსებით ეთანხმება ნოე ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკას; იგი მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასამხობად არის მიმართული. ჟორდანა-რამიშვილები ხომ კარგა ხანია რაც იმპერიალისტების აგენტების მოვალეობას ასრულებენ და დღეს ინგლისური სტერლინგებით ზურგგამაგრებულნი ახალი დირექტივებით მიმართავენ თავის პარტიას. ეს დირექტივა შემდეგით გამოიხატება: გამოყენებულ იქნას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გართულება და გაძლიერებულ იქნეს მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

**ამგვარად, ჟორდანია-რამიშვილების ახალი ლოზუნგი-ახალი ავანტიურისაკენ მოწოდებით გამოიხატება. მებრძოლი მენშევიზმი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი შემოტევისათვის ემზადება; იგი სისხლიან ავანტიურას უმზადებს ქართველ მუშებს და გლეხებს.**

დღეს საბოლოოდ დადასტურდა ის ფაქტი, რომ ქართული მენშევიზმი რეაქციონურ ძალათ არის გადაგვარებული. მათი მეთაურები—ჟორდანია-რამიშვილები, მსოფლიო რეაქციის სულისჩამდგმელ ჩემბერლენებთან ერთად ემზადებიან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოზე თავდასხმისათვის.

ჩვენ—ყოფილი მენშევიკები „ახალგზელთა" რიგებში გაერთიანებული ვაცხადებთ, რომ ჟორდანია-რამიშვილების პარტიასა და ჩვენს შორის საბოლოოდ გაითხარა კლასიური შეურიგებლობის უფსკრული. ჩვენ მტკიცედ, იარაღით ხელში ვდგევართ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის ნიადაგზე. საბჭოთა ხელისუფლება ჩვენ მიგვაჩნია ერთად-ერთ კლასიურ პროლეტარულ ხელისუფლებათ და ამ ხელისუფლების ყოველგვარ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალას ჩვენ ვაცხადებთ მუშათა კლასის მოსისხლე მტრად, რომელიც ჩვენი მხრით შეურიგებელ მოწინააღმდეგეს შეხვდება.

ჩვენ სასტიკ პროტესტს გამოვსთქვამთ ჟორდანია-რამიშვილის იმ აღმაშფოთებელი პროვოკაციული დირექტივის წინააღმდეგ, რომელიც მოუწოდებს მენშევიკური პარტიის წევრებს ახალგზელთა რიგებში და თვით კომუნისტურ პარტიაში შესვლისაკენ—კომუნისტური პარტიისა და ხელისუფლების გახრწნისა და შიგნიდან აფეთქების მიზნით.

აგვისტოს ავანტიურის ავტორებისა და ჩემბერლენის სტერლინგების საშუალებით ამოქმედებულ ჟორდანია-რამიშვილის პარტიის აგენტების, რომლებიც მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაშუშებათ გადაიქცა,ასეთი პროვოკაციის ანკესზე არ წამოეგებებიან ის ყოფილი მენშევიკი—მუშები გლეხები და საერთოდ ყველა მშრომელნი, რომელთაც საბოლოოდ ზურგი შეაქციეს მუშათა განთავისუფლების დიდი საქმის აშკარა მოღალატე მენშევი-

კურ პარტიას და შეგნებულად დადგენ კომუნისტური ინტერნაციონალის განმანთავისუფლებელი დროშის ქვეშ.

საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ თქვენ ჟორდანია - რამიშვილის პარტიაში დარჩენილნი და ჩვენ ორ მოპირდაპირე შეურიგებელ ბანაკს წარმოვადგენთ, რომელთა ურთიერთისადმი პასუხი მხოლოდ ტყვია იქნება.

## ხელის მომწერთა სია.

სამსონ ალექსის-ძე კვანტალიანი, ლეონტი იოსების-ძე ნუცუბიძე, რაჟდენ ვლადიმერის-ძე კაკაბაძე, ლუარსაბ გიორგის-ძე ჭირაქაძე, ნიკოლოზ ნესტორის-ძე მიხაილოვი, ანდრო ზაქარიას-ძე ქაჯაია, ტრიფონ კონსტანტინეს-ძე ლევიძე, ილია სამსონის-ძე კოხრეიძე, ალექსანდრე ამბაკოს-ძე შენგელია, გრიგოლ სოფრომის-ძე ვასაძე, ივანე ნიკოლოზის-ძე ჩიტაძე, ნიკოლოზ გიორგის-ძე გიორგაძე, ნესტორ იაკობის-ძე ცხვისაკაშვილი, ჩირაძე ილარიონ, გრიგოლ იოსების-ძე ხელაძე, პარმენ ქრისტიფორეს-ძე ბასილაძე, პეტრე კონსტანტინეს-ძე ფერაძე, ივანე სოლომონის-ძე ცირეკიძე, კონსტანტინე მოსეს-ძე უგულავა, პლატონ დიმიტრის-ძე ობოლაძე, ერესტი გიორგის ძე გაბრიაძე, ივანე ნ. კიკვაძე, არჩილ ზაქარიას-ძე ცირეკიძე, გიორგი მდივანი, იონა სამსონის-ძე ქარქაშაძე, სიმონ მელიტონის-ძე ლოსაბერიძე, სერგო მიხეილის-ძე ჭარხალიშვილი, ტრიფონ ანდრიას-ძე პატარია, თეიმურაზ ვასილის-ძე შარიკაძე, ანტონ ფარნაოზის-ძე ნაჭყეპია, ალექსანდრე ანდრიას-ძე დემეტრაძე, კონსტანტინე კიმოთეს ძე კორძაძე. ვასილ ალფესის-ძე გვენეტაძე, სალომე დავითის-ასული ფირცხალავა, დიმიტრი თომას-ძე კუხიანიძე, ნიკოლოზ დავითის-ძე ცაგარეიშვილი, აკაკი ალექსის-ძე ობოლაძე, ქრისტეფორე პარმენის-ძე ბარილაძე, გიორგი ნესტორის-ძე დოლიძე, ისიდორე ივანეს-ძე ბაბუნაშვილი, ანტონ მაქსიმეს-ძე ბრეგვაძე, იოველ ფარნაოზის-ძე გელაძე, ევტიხი მიხეილის-ძე იორამიშვილი, ანნა ლუარსაბის-ასული ქავთარაძისა, სერგო ლუკას-ძე ხუჯაძე, პლატონ ალექსის-ძე გვენეტაძე, იასონ გრიგოლის-ძე რევიშვილი, ვასილ ივანეს-ძე ალანია, ეზეკია მიხეილის-ძე კტინაძე,იოსებ ანტონის-ძე ბერძენიშვილი, ზოსიმე ნესტორის-ძე ტყეშელაშვილი, იროდი ლევანის-ძე ცაგარეიშვილი, ისიდორე გრიგოლის-ძე კვიცარიძე, ვასილ ლუკას-ძე ცქიფურიშვილი, ივანე დავითის-ძე ჩარკვიანი, ვლადიმერ სიმონის-ძე მარუაშვილი, გაბო იობის-ძეგა ვლადიმერ სიმონის-ძე მარუაშვილი, გაბო ოსების-ძე გაბედავა, ლავრენტი თომას-ძე კუპრაშვილი, ერმილე მაქსიმეს-ძე კუხიანიძე, ივანე სოფრომის-ძე უგულავა, იულო ნიკოლოზის-ძე ოყრეშიძე, დავით სიმონის-ძე ოყრეშიძე, ემილიანე მიხეილის-ძე წულაძე, გიორგი მელიტონის-ძე კაპანაძე, ტრიფონ ნიკოლოზის-ძე ცაგურია, ქიშვარდი კონსტანტინეს-ძე კოროშინაძე, დიომიდე მოსეს-ძე ოყროშიძე, ირაკლი ალექსის-ძე კაჭარავა, ილია შამშეს ძე მანდარია, ლონგინოზ ერასტის-ძე გრიგოლია, მიხეილ ვასილის-ძე რიჟამაძე, დავით ექვთიმეს-ძე ჭარხალაძე, გიორგი სტეფანეს-ძე სვანიძე, ივანე ლაზარეს-ძე ხაჯალია, ჯაბა გიორგის-ძე მეძმარიაშვილი, კონსტანტინე საბას-ძე ჭიჭინაძე, სამსონ დავითის-ძე ჩარკვიანი, ტროფინე მიხეილის-ძე ჯინორიძე, ისიდორე დავითის-ძე სიხარულძე, ონიფანტე ონისიმესძე ხომასურიძე, დავით ექვთიმეს ძე ნიშნიანიძე, ნოე გიორგის-ძე სიხარულიძე, ერმილე ლევანტის-ძე სიხარულიძე, ილარიონ ტარიელის-ძე მურღულია, ლავრენტი ივლიანეს-ძე ხუციშვილი, ეფრემ სიხარულიძე, მიხეილ გაბრიელის-ძე დოლიძე, პოლიკარპე მიხეილის-ძე ზახტაძე, იუსტნე კიმოთეს-ძე მელიქაძე, აბესალომ ალექსის-ძე თავხელიძე, გალაქტიონ ვასილისძე თალაკვაძე, თედო იოსების-ძე გუგუროვი, ნიკოლოზ სიმონის-ძე ალფაიძე, მიხეილ თომას-ძე ხომასურიძე, პლატონ ამბაკოს-ძე დოლიძე, გრიგოლ ქაიხოსროს-ძე კალანდარიშვილი, ელპინა ერასტის-ასული ჩარკვიანი, ბაგრატ იოსების-ძე ცირეკძე, დომენტი სიმონის-ძე ცქიტიშვილი, ნისოლოზ ლარიონის-ძე ელიაშვილი, იოსებ ლულუკას-ძე სულაქველიძე, ილია ნიკიფორეს-ძე სტუბკოვ, კალისტრატე ფილიპეს-ძე რუსია, დავით გაბრიელის-ძე ნიკურაძე, კალისტრატე ეპიფანეს-ძე სვანიძე, ევგენი ანანიას-ძე შავგულძე, ერემი ბიჭას-ძე ქებულაძე, სამსონ ვასილის-ძე ქებულაძე, ალფეზ პავლეს-ძე ლეჟავა, ბაგრატ ივანეს-ძე ჭახუა, პეტრე მიხეილის-ძე მაჭავარიანი, ლავრენტი სტეფანეს-ძე რევიშვილი, ბარნაბ ილარიონის-ძე ელიაშვილი, ასვალონ ერასტის-ძე გოცირიძე, ალექსანდრე პავლეს-ძე სიხარულიძე, სამსონ ვასილის-ძე გოგიძე, მარიამ ლუარსაბის-ასული მატარაძე, სილევან დიმიტრის-ძე კიზირია ნიკოლოზ ილიას-ძე კურცხალია, სიმონ ივანეს-ძე მარჯანიშვილი, ეფრემ ბესარიონის-ძე გვეტაძე, სიმონ ლუკას-ძე ჭიჭინაძე, ვალოდია მაქსიმეს-ძე ბობოყაშვილი, პლატონ ვასილის-ძე თალაკვაძე, პოლიკარპე დავითის-ძე გოგიაშვილი, კირილე ივლიანეს-ძე ქარჩილაძე, ნიკოლოზ სოლომონის-ძე ჯანელიძე, სევერიან გიორგის-ძე სირბილაძე, კოწია ბიჭიას-ძე ჯირგაია, სერაფიონ არჯევანის-ძე დოლიძე, ივანე აქვსენტის-ძე ბიბილეიშვილი, არჩილ სტეფანეს-ძე სუსავა, გიორგი ნესტორის-ძე მაღლაკელიძე, მელიტონ ყარამანის-ძე კიკნაძე, ბარნაბ პავლეს-ძე ძველაია, ვასო იაკობის-ძე აბდალაძე, მიტროფანე სიმონის-ძე ჩიქვინიძე, ფილიმონ პავლეს-ძე ბეჟუაშვილი, გიორგი დიმიტრის-ძე თვალაძე, ბესარიონ სოფრომის-ძე ჩიბურდანიძე, ვასილ მერაბის-ძე გაბუნია, ნიკოლოზ სერგოს-ძე სანიკიძე, გალაქტიონ მინას-ძე ყიფიანი, გიორგი თედორეს-ძე მეფარიშვილი, შალვა მელიტონის-ძე ქორიძე, სიმონ ნიკოლოზის-ძე მეხუზლა, ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე ტყებუჩავა, სერგო ივანეს-ძე თოფურია, ვასო იაკობის-ძე აბდალაძე, ბოდოკია ალექსანდრეს-ძე ბახტაძე, მიხეილ ივანეს-ძე კოლუაშვილი, სანდრო ერისტოს-ძე ახობაძე, პლატონ მარკოზის-ძე სტურუა, ბარნაბ იოსების-ძე სტურუა, დიმიტრი ნიკოლოზის-ძე ჟვანია, ამბაკო გიორგის-ძე ახობაძე, ანთიმოზ ნიკოს-ძე სიხარულიძე, პანტელიმონ ონისიმეს-ძე დოლიძე, იაკობ ბუჭიას-ძე შენგელია, პროკოფი ლევანის-ძე კოხანი, ამბროსი დავითის-ძე საგინაძე, კონსტანტინე ალექსის-ძე ვაშაკიძე, სიმონ გიგოს-ძე კაჭარავა, შაქრო დავითის-ძე სუხიევი, სევერიანე ნესტორის-ძე მესხი, ლუკა გრიგოლის-ძე ბალანჩივაძე, შერმანდი სტეფანეს-ძე დოლიძე, კოსტა პავლეს-ძე რუხაძე, რაჟდენ სილიბისტროს-ძე პაპავა, ვალერიან მიხეილის-ძე ხარებავა, სიმონ გრიგოლის-ძე გეგიაძე, ივანე პეტრეს-ძე მიქელაძე, ვლადიმერ დავითის-ძე მიქელაძე, რაჟდენ ქრისტეფორეს-ძე აბულაძე, გაბრიელ ბეჟანის-ძე შენგელია, ნიკოლოზ გიორგის-ძე ფრანგიშვილი, ოქროპირ ლუკას-ძე წულაია, კონსტანტინე სოლომონის-ძე ჭოლაძე, ნოე გიორგის-ძე ახობაძე, ილია ერასტის-ძე დუნდუა, თედორე გიგოს-ძე ზოლოტარია,მიხეილ ნესტორის-ძე სტურუა, ივანე ტრიფონის-ძე ბოჭორიშვილი, გიორგი საბას-ძე ლვნიანიძე, ასლან საჩინოს-ძე ასათიანი, მელიტონ ეგნატეს-ძე გიგინეიშვილი, ერმილე ალექსის-ძე აბზიანიძე, ნოე დავითის-ძე ჯავახაძე, ეკატერინე რემანოზის-ასული ახობაძე, გიორგი ივანეს-ძე მიქელაძე, იოსებ სტეფანეს-ძე ლობჟანიძე, მიხეილ კოსტას-ძე დუნდუა, ილია გიგოს-ძე ჟვანია, სპირიდონ პ. პაპავა, ილია სოფრომის-ძე თედორაძე, გრიგოლ ნიკოს-ძე მუქერია, ნიკო თედორეს-ძე ჯანგველაძე, მიხეილ გიორგის-ძე კიკაბიძე, ანოპოლისტე ალმასხანის - ძე როინიშვილი, რომანოზ პახვალას-ძე ლაქია, გიორგი ანტონის-ძე ნინუა, ალექსანდრე ბეგლარის-ძე ვაჩეიშვილი, ერმილე იოსების-ძე გუგუშვილი, არჩილ ბახვას-ძე თოფურია, კოსტა სანდირაძე, ალექსანდრე ანტონის-ძე კოხრეიძე, ბიქტორ ბიჭიას-ძე ჯანელიძე, ვლადიმერ ბიჭიას-ძე მიქელაძე, იაკობ ონისიმეს-ძე ჩაგანავა, ვლადიმერ ბიჭას-ძეგაგუა, ერმილე ალექსის-ძე ცომაია, ალექსანდრე სიკოს-ძე ნადარეიშვილი, ილარიონ ალექსის ძე სანაძე, ვარლამ გერასიმეს-ძე ქათამაძე, ტერენტი გაბრიელის-ძე ნაკაიძე, ლავრენტი ოქროპირის-ძე შოვნაძე, სამსონ ადმილარის-ძე მიქელაძე, პეტრე სპირდონის-ძე რევიშვილი, სევერიანე გიორგის-ძე კრაკეიშვლ, ნესტორ ყარამანს-ძე ცომაია, ბარნაბ ლევანის-ძე ნიკურაძე, სარდიონ ლევანის-ძე ნიკურაძე, ფილიმონ გიგოს-ძე ტორონჯაძე, ლევან ივანეს-ძე ხაბეიშვილი, ამბაკო გრიგოლის-ძე

მინაშვილი, ერასტი ანტონის-ძე დუნდუა, ნიკიტა იოსების-ძე ახობაძე, ბესარიონ ნიკოლოზის-ძე მიქაშვილი, კირილე ივანეს-ძე ჯაიანი, ვლადმერ ალექსის-ძე ნინუა, ივანე საბას-ძე დუნდუა, ილია პავლეს-ძე ნიკურაძე, იაკინთე გიორგის-ძე ხუჭუა, ის. ქურციკიძე, ვარლამ ალექსის-ძე ვაშაკიძე, კოსტა დიმიტრის-ძე ჯანჯღავა, ნოე ვასილის ძე რევიშვილი, ჯიმშეთი ამბაკოს-ძე უნგიაძე, სარდიონ თედორეს-ძე გვიშიანი, ვლადიმერ ანტონის-ძე დიდიძე, ბესარიონ გიორგის-ძე კეკელია, ბათლომე ვასილის-ძე შენგელია, ვასილ იობის-ძე ფრანგიშვილი, გრიგოლ იაკოფის-ძე ღვინია, დომენტ ნადირაძე, ნესტორ მიხეილის-ძე კიკვაჩეიშვილი, გერმანე ექთიმეს-ძე გოგიშვილი, პანტელემონ პეტრეს-ძე პაპავა, სილოვან ლუკას-ძე კოტრიკაძე, კირილე სილიბისტროს-ძე კვანტალიანი, ივანე გიგოს-ძე მანჯგალაძე, კიმოთე პეტრეს-ძე კოპალეიშვილი, პოლიკარპე სოფრომის-ძე გიგინაშვილი, სევერიანე ოქროპირის-ძე ხვიჩია, გიორგი ივანეს-ძე სულავა, სევერანე იაგორის-ძე შენგელია, ვასილ სოლომონის-ძე კოპალეიშვილი, ანდრია სიმონის-ძე ვაშაკიძე, ლევან პავლეს-ძე ბუაძე, ალექსანდრე ნესტორის-ძე კორძაია, ივანე ნიკოლოზის-ძე წეროძე, მიხეილ სტეფანეს-ძე ქანთარია, კოტე გიორგის-ძე ზურაბოვი, ირაკლი თედორეს-ძე ცომაია, ალექსი მაქსიმეს-ძე ხაცავა, რაჟდენ ლუკას-ძე ჯიბუტი, გიორგი პეტრეს-ძე მიქაძე,ამბაკო ბიჭიას-ძე ჯანჯალია, ანტონ ხესიას-ძე ნიკურაძე, მაქსიმე ფარნაოზის-ძე დუნდუა, ალექსი გიორგის-ძე ბერაძე, დავით ისიდორეს-ძე ბახტაძე, პავლე ოქროპირის-ძე ხუბუა, გიორგი მაქსიმეს-ძე ტორონჯაძე, ირაკლი ტიტოს-ძე შოთაძე, ალექსი ვასილის-ძე ფრანგიშვილი, პარმენ ალექსის-ძე მიქაძე, ამბაკო ვასილის-ძე ზამურაძე, ლავრენტი ბოხუა, იაკიმე თომას-ძე გოგვაძე, აკაკი ხაჯალია, კონსტანტინე ეგნატეს-ძე გრიგოლია, ევგენი გიგოს-ძე ხვედელიძე, ტერენტი გიორგის-ძე კანდელაკი,, ანტონ გიორგის-ძე ცანავა, სოლომონ პავლეს-ძე სირაძე, ამბაკო კოხტას-ძე ჯანელიძე, გიორგი ივანეს-ძე მიქელოვი, სერგო გიორგის-ძე ქანთარია, ვლადიმერ საბას-ძე აბზიანიძე, კირილე გვატას-ძე ნადარაია, სამსონ ქანთარია, სოლომონ მიქას-ძე გორდელაძე, ისიდორე დავითის-ძე ციცხვაია, გიორგი გერასიმეს-ძე სტურუა, ალექსანდრე სოფრომის-ძე თევზაია, ივანე ხპირიდონის-ძე რევიშვილი, კაკულა ანდრიას-ძე მენაბდე, ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ლალიაშვილი, გორგი ათანასეს-ძე შენგელია, იაკობ ივანეს-ძე ვაშასიძე, ივლიანე ფილიპეს-ძე თავდუმაძე, ბიჭიკო ივანეს-ძე შენგელია, მიხა კონსტანტინეს-ძე თავდუმაძე, თეოფინე ბეგლარის-ძე მესხიშვილი, იოსებ დავითის-ძე გეგუჩაძე, იაკობ ნიკოს-ძე შენგელია, ვარდენ ვარლამის-ძე შენგელია, მიხეილ ნიკოლოზის-ძე შენგელია, კონსტანტინე სიკოს-ძე პირტახია, ქეთო თარხანის-ასული ქუთელიასი, ვლადიმერ ვასილის-ძე კალაძე, აკაკი დიანოსის-ძე ზამთარაძე.

## ყოფილ მენშევიკების განცხადება

ინგლისის კონსერვატილი მთავრობის პროვოკაციულმა გამოსვლებმა საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ, საქართველოდან გადახვეწილ ემიგრაციას კიდევ გაუღვიძა დაკარგული იმედები. ჩვენი ქვეყნისთვის ახალი ავანტიურის თავზე მოხვევისა. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა 1924 წლის აგვისტოს ავანტიურისტულ გამოსვლების დროს უკვე დაამტკიცეს თავისი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ეხლა, როდესაც ქვეყანა უდიდესი მშენებლობის პერიოდშია და მის კულტურულ და ეკონომიურ ძალთა განვითარებას ფართე გზა აქვს დათმობილი, მშრომელი საქართველო საბჭოთა კავშირის დანარჩენ მოძმე რესპუბლიკების მუშათა კლასთან ერთად, როგორც ერთი კაცი ისე დადგება სოციალისტურ სამშობლოს სადარაჯოზე.

ზაჰესის დამთავრება, რიონჰესის სამუშაოთა დაწყება, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მრავალნაირი ქარხნების აგება სასოფლო-მეურნეობის რაციონალური ნიადაგზე დაყენება და მისი მაშინიზაცია, რომელიც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო, მტკიცე საძირკველს უყრის საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობას კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან.

საქართველოს მუშები და გლეხები ნათლად ხედავენ ამას და ვერავითარ ხრიკებს შინაურ და საგარეო ბედის მაძიებლისას ვერ შეუძლიან ისინი ახალი ავანტიურის ანკესზე წამოაგოს.

ჩვენც, სიღნაღის მაზრიდან წამოსული ყოფილი მენშევიკები,რომელნიც ამჟამად თბილისში საბჭოთა სხვადასხვა დაწესებულებებში ვმუშაობთ არსებულ ხელისუფლების გამგეობისათვის, ჩვენ ხმას უერთებთ საქართველოს მთელი მშრომელი ხალხის ხმას და კერძოდ სიღნაღის მაზრის ყოფილ მენშევიკებს, რომელთაც ამას წინეთ ჩატარებულ მთელ რიგ კონფერენციებზე და თათბირებზე დაჰგმეს და შეაჩვენეს საზღვარგარეთელ ემიგრაციის ახალი ცდები ჩვენი ქვეყნისათვის აგვისტოსებურ ავანტიურის თავზე მოხვევისა.

საქართველოს მშრომელ გლეხობას მოვუწოდებთ: მხარში ამოუდგენ კომუნისტურ პარტიას, რომლის გონიერ ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებას ასეთი სწრაფი ნაბიჯით წინ მიჰყავს ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური განვითარება.

**იოსებ კრანიშვილი, ილა მოსაშვილი, დავით ნანობაშვილი, ნიკო ციციშვილი, აპოლ. ზალდასტანიშვილი და ვლ. კრანაშვილი.**

—:—

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვ დაუთმოთ ადგილი ჩემ შემდეგ განცხადებას. დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ვინემ დღემდე მე ვიყავი ყოველგვარ პარტიის გარეშე. ხოლო 1924 წ. ძალაუნებურად ვიყავი ჩათრეული აგვისტოს ავანტიურაში, რამაც სრულებით დამარწმუნა ყოფილი მენშევიკურ მთავრობის მოღალატურ საქმიანობაში. დღეს საქართველო წელში გამაგრებულია, ყოველ დარგში მას აქვს უდიდესი მიღწევები, ის წინ მიდის და ასეთ დროს განზე გაჩერება მე დანაშაულად მიმაჩნია. ვაცხადებ ყველას გასაგებად, რომ დღეიდან მთელი ჩემი ენერგიით, ცოდნითა და გამოცდილებით ვემსახურები საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას.

**მასწავლებელი ავქსენტი ჭაჭია.**

ს. დიდი-ნეძი. 1927 წ. 3 აგვისტო.

## რკინის-გზის რამე-რუმე

ვერსად დედამიწის ზურგზე ვერ ნახავთ,რომ რკინისგზის ლიანდაგი ქუჩათ იყოს მცხოვრებლებისათვის გადაქცეული.

გამონაკლისს შეადგენენ ჩვენი რკინის გზები და განსაკუთრებით მისი თბილისს-ნავთლუღ შუა მდებარე ნაწილი. ეს შვიდი ვერსი რკინის-გზის ლიანდაგი ნამდვილ სასეირნო ქუჩად არის გადაქცეული. აქ ორი ლიანდაგია გაყვანილი და ორივე დღე და ღამე ხალხითაა სავსე.

ამ ლიანდაგებზე ძალიან დიდი მოძრაობაა და თითქმის ყოველ დღე ხდება უბედური შემთხვევა.

როგორც აღმართზე მატარებელი ნელა მიდის აქ ვარჯიშობაც იმართება. წინა რონოდაზე სხდებიან; მერე ჩამოხტებიან და ასე ბოლომდი ვარჯიშობენ გაქანებულ მატარებელზე. კიდევ კარგი თუ ეს ვარჯიშობა მატარებლის მარჯვენა მხარიდან ხდება. მაგრამ არის შემთხვევა გადადიან მარცხენა მხარესაც და ვაი მისი ბრალი, ვისაც ამ დროს მეორე ლიანდაგზე მომავალი მატარებელი მოასწრებს.

ერთი ლიანდაგი მეორესთან ისე ახლოა, რომ თუ შუაში მოხვდი თქვენი საქმე წასულია. შეიძლება მკითხველმა იკითხოს: რას შვრება კონდუქტორები და გზის დარაჯები.

რა ქნას სამმა კონდუქტორმა 40—50 რონოდაზე? განა მათ შეუძლიათ ასე გრძელი მატარებლის გასწვრივ დაიცვას მოსეირნე ხალხი უბედური შემთხვევისაგან?

მაგრამ ჩვენს რკინისგზებზე დარაჯების ინსტიტუტი თითქმის სულ გაუქმებულია.

ვინც რკინის-გზით იმოგზაურებს ის ადვილად შენიშნავს მთელ ხაზზე, ლიანდაგის ახლო, პატარა ქვის სახლებს. აი, ეს სახლებია სადარაჯოები. მაგრამ ზოგი ამათგანი დღეს დანგრეულია, ზოგიც ცარიელი სდგას. ლიანდაგი კი უბედური შემთხვევის მსხვერპლად არის დატოვებული. დარაჯები დღეს მოხსნილია.

ვინ მოსთვლის თუ რამდენი ზარალი მოსდის გზას ამ დარაჯების მოხსნით? დიდი შეცდომაა ამ დარაჯების ინსტიტუტის გაუქმება. ეს მომჭირნეობა კი არა, უდოვლათობა და სახელმწიფო სალაროს დაუზოგველობაა. ვინ მოსთვლის რამდენი ხარი, კამეჩი, ცხენი და სხვა მუშაპირუტყვი ელუპება ხალხს ამ ვითომ მომჭირნეობის მიზნით გზის დარაჯების გაუქმების გამო.

კიდევ კარგი, რომ საქმე მარტო ამით თავდებოდეს. მსხვილი საქონელის, მაგალითად, კამეჩის გასრესა იწვევს მატარებლის დამსხვრევას, გაწყვეტას და სხვა დიდათ საზარალო მოვლენებს... საკმაოა მოვიგონოთ მხოლოდ ერთი-ორი მაგალითი: ამ რამდენიმე თვის წინეთ სადგურ ცივწყაროსა და კუხეთს შუა სახალხო მატარებელმა გასრისა ოთხი თუ ხუთი კამეჩი. ამ გარემოებამ გამოიწვია მატარებლის დამსხვრევა და გზამ აქ ასი ათასობით ზარალი ნახა. ოთხი სავსებით დამსხვრეული რონოდა დღესაც იქვე,ლიანდაგის ახლო ყრია. სამ ივნისს მატარებელი № 21 სამოცი რონოდის შემადგენლობით მიდიოდა ბაქოსაკენ. გარდაბან-რუსთავ შუა გადასარბენზე მატარებელი დაეჯახა პირუტყვთა ჯოგს. მემანქანემ მატარებელი გააჩერა, რამაც შემადგენლობის ორ ნაწილად გაწყვეტა გამოიწვია. დაზიანდა მატარებელი № 21 და სხვა სადგურებზე გაჩერდენ სახალხო, თუ საბარგო მატარებლები, რამაც საგრძნობი ზარალი მისცა რკინის-გზის მეურნეობას... 29 მაისს სად. რუსთავის ახლოს სახალხო მატარებელი № 3 დაეტაკა კამეჩს. მემანქანემ მატარებელი საჩქაროთ გააჩერა. უბედურება არ მომხდარა, მაგარმ სახალხომ საგრძნობლად დაიგვიანა. ვინ ჩამოთვლის რამდენია ამისთანა შემთხვევაა.

ახლა წარმოიდგინეთ რამდენი ზარალი მოსდის რკინის-გზას ამ უბედურ შემთხვევების გამო. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ათასი კაცით შევამცირეთ რკინისგზის მუშების რიცხვი და მით უმუშევართა კადრები გავადიდეთ.

**ბ.**

ლიანდაგის დასაცავად საჭიროა ლიანდაგის შემოღობვა. ევროპის დიდ სახელმწიფოებში დარაჯებიც არიან და თვით ლიანდაგიც შემოღობილია. იქ ვერც პირუტყვი და ვერც ადამიანი ლიანდაგს ვერ გაეკარება. მაგრამ შემოღობვა კიდევ იმიტომ არის საჭირო, რომ ზამთარში ლიანდაგი თოვლმა არ დაფაროს და ამით მატარებლების მიმოსვლა არ შეაჩეროს.

ჩვენში კი არავინ ფიქრობს ლიანდაგის შეღობვაზე, რაც ორნაირად არის სასარგებლო: ეს უზრუნველყოფს მატერებლებს ადამიანებისა და პირუტყვებისაგან და დაიცავს გზას თოვლიდან. ამიტომ საჭიროა ლიანდაგის ორივე მხრიდან ცოცხალი ჯებირები შემოვურგოთ. ეს საშუალებას მოგვცემს დარაჯების რიცხვი ერთი ორათ და ერთი სამათ შევამცირ..ით და როგორც მატარებლები, ისე მცხოვრებლები და პირუტყვები დაღუპვისაგან ვიხსნათ.

**გ.**

ორთქლმავლების საყუდების სივიწროვეს ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება .წინათ ეს საყუდი ასამდე პატარა ორთქლმავალს იტევდა. დღეს კი ეს რიცხვი გადიდდა.

ამას გარდა დღეს დიდი ორთქლმავალი იჭერს ორი პატარა ორთქლმავლის ალაგს. ამის გამო არის დიდი ვიწროობა საყუდში. აღარაა ორთქლმავალის დასადგომი ალაგი. ამის შესახებ ყვირის დიდი და პატარა. ამაზე სწერავენ გაზეთებში, იქმნება ინჟენერების საგანგებო კომისიები... უნდა ვიფიქროთ, რომ ოდესმე გამოინახება საშუალება ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად. მართალია, იყო ამის შესახებ რადიაკლური დადგენილებებიც. მაგრამ თუ დღემდე ისინი სისრულეში ვერ მოუყვანიათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ დიდი ხნიდან მაგრად დაბუდებულ ბიუროკრატიზმის ბრალია.

საყუდის გადიდება სულ რამდენიმე ათასი მანეთის ხარჯს მოითხოვს. არსებული წესით ამის უფლება არ აქვს ადგილობრივ ადმინისტრაციას. ის იძულებულია დაეკითხოს ცენტრს. ეს კი იწვევს საქმის რამდენიმე წლობით გაჭიანურებას.

**დ.**

რა კი საყუდში ვეხი შევდგით ბარემ იქ სხვა ნაკლსაც გაუწიოთ ანგარიში.

მოვიდა მუშაობიდან ორთქლმავალი. მემანქანე სწერავს, რომ თუ ამ ორთქლმავალს ესა და ეს ნაწილები არ გაუკეთეს, მისი სამუშაოთ გაშვება შეუძლებელია.

საყუდის ოსტატი ამ სამუშაოზე გზავნის საჭირო მუშებს... მწუხარებით უნდა ვაღიაროთ,რომ აქ ყველა არ ასრულებს თავის მოვალეობას სინდისიერათ. ზოგიერთი ამხანაგი ცდილობს საქმეს ჩქარა მორჩეს და აკეთებს მას ცუდათ, ან სულ არ ახლებს ხელს, ხოლო წიგნში კი აღნიშნავს გავაკეთეო.

მოდის მემანქანე. მას საქმე გაკეთებული ჰგონია. მიდის გზაში და აქ ირკვევა, რომ ორთქლმავალი ვერაა საკმარისად შეკეთებული, მას ვერ მიაქვს საჭირო სიმძიმე და ამით ფერხდება მატარებლების მოძრაობა.

იმ დროს, როცა ჩვენ ვაშენებთ სოციალისტურ სამყაროს, იმ დროს, როცა ჩვენ შემოგვყურებს მთელი ქვეყანა და ჩვენს მუშაობას თვალყურს ადევნებს მტერი და მოყვარე—ასეთი მუშაობა, ასეთი თაღლითობა—დაუშვებელია.

**დუღაბი.**

# კ ლ დ ე

**(ნაწყვეტი მოთხრობიდან)**

... ლევან ლევანისძე მიდიოდა აბნეული ნაბიჯით, ისე, როგორც მიდიან რიყეზე. (აბნეული ქვები ფეხ ქვეშ, რომ ბრუნდებიან). მიდიოდა დაბნეული, უმწეო, მიზანშეუცნობილი.

არეული ფიქრები მისრიალებდენ თავში, როგორც გადაფრენილ წეროების გროვა სივრცეში. ნესტიანი, ცივი გაყინული ფიქრები აღუნებდენ მას...

მამა დავითის გორაზე ჩამავალი მზის სხივები, ისრების კონასავით დაჭიმულიყვენ და ბრჭყვიალა ზოლებს სტყორცნიდენ ნაძალადევის მიდამოს დაბალ სართულიანი სახლის ფანჯრები ბზინავდენ,ჩრდილები გაგრძელებულიყვენ და მცხოვრებნიც, დღიური ზრუნვისაგან მოქანცულნი, ზანტად მიეშურებოდენ თავიანთ სახლებისაკენ.

ალაპლაპებულ ფანჯრის შუშებს მზის სხივები მალე მოშორდენ და მიდამოსაც ლილის ფერი გადაეფარა. დაბალ ჭერიანი სახლები, ხის ჩრდილში მიყუჟულ სოკოებივით გამოიყურებოდენ.

ლევან ლევანისძეს მოაგონდა შორეული წარსული. მაშინ გული ცეცხლით სავსე ჰქონდა. სწორედ ამდროს, საღამო ხანს, გადმოივლიდა ხოლმე ის მაღალ და გრძელ რკინის ხიდს და მუშების წრეში ეშურებოდა.

დაბალ ჭერიანი პატარა ოთახი აგურით დაგებული.

ორი ტახტი ლოგინით დაფენილი. ხის ოთხფეხიანი მაგიდა.

ტახტზე ჩამოსხდარი შავ-ბლუზიანები აგზნებული თვალებით და საუბარი რვა საათის მუშაობის,

კაპიტალისტური წყობილების და სოციალიზმის შესახებ. საუბარი მთის პატარა წყაროსავით მირაკრაკებდა და მსმენელთა გულს აიაზმათ ესხურებოდა.

მერე... გაფიცვები. დემონსტრაციები. ციხე. ბორკილები. გადასახლება.

დიდ ხანს უცხო მხარეში ყოფნა. ათეული წელი მშობლებსა და სახლ-კარს დაშორებული.

კვლავ სამშობლოში დაბრუნება. დაბრუნებისას დაგუბებულმა გრძნობამ მტკვრის დანახვაზე, სიხარულის ცრემლთა ნაკადი წარმოშვა. (ასე სცოდნია დიდი ხნით სამშობლოს დაშორებას).

ერთხახად გულმა შვება იგრძნო.

გაბრწყინდენ თვალები.

ახალი ნაკადი აჩხრიალდა გულში...

მერე... ჩრდილოეთის მხრიდან მოისმა ხმაური უცნაური. ხმა იყო ძლიერი და უდრეკი.

ხოლო, როცა ეს ხმაური საქართველოსაც მოედო და წითელი ზეწარი გადაეფინა მის არეს,—ამის შემდეგ შეუცნობი რამ მოხდა ლევან ლევანის ძის ცხოვრებაში...

თითქო შეწყდა მიმავალი გზა და პიტალო კლდეს მიადგა.

გარიყული, როგორც მდინარის დაწყვეტის შემდეგ გუბეში ჩავარდნილი თევზი—უმწეოდ ფართხალებდა.

ცხოვრება კი, სადღაც შორს მისგან, მეორე მხარეს, მიდიოდა თავისი ფოლადის კალაპოტით, დინჯი და შეუცნობელი...

ფიქრები, არეული, მოუსვენარი, შხამიანი ფიქრები არ ასვენებდენ მას. წვეტიანი ბურღივით მის გუნებაში იჭრებოდენ და ტკივილებს აგრძნობინებდენ...

„მერე, რა არის საქართველო“?... მრავალ გზით შეიჭრებოდა ეს კითხვა მის დაღლილ გონების კუნთებში და გასავალს კი ვერ ჰპოულობდა.

წინად კი, მუშათა წრეებში მუშაობის დროს, საქართველო არ მოგონებია მას, არ უფიქრია მასზე. და თუ კითხვა ჩამოვარდებოდა ამ მცნებაზე, ის უარყოფდა სამშობლოს და გაიძახოდა: აბა, არის სამშობლო! სამშობლო მისია ვინც მას ჰფლობს. ამჟამად ბურჟუები ეპატრონებიან მას. მისი ჰაერით, წყლით და ყოველი სიმდიდრით, ისინი სარგებლობენ. მუშა კი სამუშევარის საშოვნელად მიდის ყველგან, სადაც კი მიიღებს, და სამშობლოც მისი იქ არის, სადაც იმუშავებს. სამშობლო ბურჟუების მოგონილია. აბა, რა არის სამშობლო?.. მუშა თავის მდგომარეობით ინტერნაციონალისტია... ამიტომ არაფერი ფიქრი, არაფერი ზრუნვა სამშობლოზე!..

ეხლა კი რატომღაც ეს კითხვა თავის სიმწვავით წამოიჭრა და რატომ მოხდა ასე, მასაც ვერ გაურკვევია...

ფიქრებით შებურვილი მიდიოდა ძველ ნაცნობ ქუჩებზე და ფეხს მიადგამდა ისე, როგორც მიდიან მიწისძვრის დროს, როცა არ იცი მიწა როდის გასკდება და ჩავარდები ნაპრალში...

ფიქრების ბურუსიდან გამოერკვა, როცა თვალებში აღიბეჭდა ძველი ნაცნობი მუშის სახე.

— სხვა, როგორ ხარ, ლევან! რას აკეთებ?..

— ისე! ვცხოვრობ! აბა, რა უნდა გააკეთო ამათ ხელში!!

— ეგრე ნუ იტყვი ლევან!.. კმარა! მეც ეგრე ვფიქრობდი აქნამდის!

— ახლა?

— ახლა სხვანაირად ვფიქრობ!

— მაინც?

— მე მგონია განზე გადგომა არ არის გამართლებული!..

აი, ჩვენ, მუშები, ჩვენც გავურბოდით ხელისუფლებას... ეს შემცდარი გზა იყო! არაფერი ნაყოფის მოტანა მას არ შეეძლო. მოიტანა მხოლოდ ვნება! ცხოვრება სულ სხვაა. ჩვენ მიერ აღებული გეზი კი, ცხოვრების მიერ ნაკარნახევია, სწორი და მიზანშეწონილი!..

ძველი მუშა ლაპარაკობდა ისევ ძველებური კილოთი. თითქო მის ცხოვრებაში არ მომხდარიყოს არაფერი გარდატეხა, არაფერი ცვლილება.

— ჩვენ არასდროს არ გვექნება შემცდარი გზა! ჩვენ ვმუშაობთ, ჩვენ ვქმნით, ჩვენ ვამდიდრებთ ქვეყანას და ეს ხომ მუდამ წინმსვლელობაა!! ეხლა მით უმეტეს, როცა ჩვენს ხელშია ყველაფერი!..

— მერე საქართველო?

— განა საქართველო წავიდა სადმე? საქართველო ხომ ჟორდანიას „მთავრობა“ არ არის! საქართველო ჩვენ ვართ! საქართველო არ არის პარტია!! საქართველოა— მტკვარი, შოთა, ურმული, მისი მშრომელი მოსახლეობა! განა რა მოუვიდა საქართველოს!..მთავრობა ისევ მთავრობაა, ხალხი ისევ ხალხია, მიწა-წყალი ისევ მიწა-წყალია!.. მაშ, რაშია საქმე? საქართველო არის ის, რაც არის! და უნდა მიიღო ისეთი, როგორიც არის!.. თქვენ, ინტელიგენტებს, ესეც გინდათ, ისიც გინდათ!.. მსჯელობთ, ფიქრობთ, ორჭოფობთ! და ამაშია თქვენი ტრაგედია!..

მართალია, ყველაფერი არ არის ისე, როგორც ჩვენ გვინდა. მაგრამ ეს ხომ თვით ცხოვრებისა და მუშაობის პროცესში გამოსწორდება!..

არეული ფიქრები, თავს, რომ ეხვია ლევანს, თითქო შემოიფანტა, როგორც ქარისაგან გაფანტული ღრუბლები. ყურს უგდებდა ძველ მეგობარ მუშას. ეცნაურებოდა მისი კილო, მისი მსჯელობა და სადღაც გულისყურს სწვდებოდა მისი დაჯერება.

— პირველ ხანად მეც ტკივილებს ვგრძნობდი,—განაგრძობდა ძველი მუშა,—ტკივილებს ვგრძნობდით მეც და ჩემი ამხანაგებიც, რომ უეცრად გარიყულები ამოვჩნდით. ტკივილებს ვგრძნობდით, რადგან ჩვენი პარტიული მუშაობა, ჩვენი თავგანწირული ბრძოლა, ციხე, ბორკილები, კატორღა—არარად იქნა მიჩნეული...

დიახ! ეს იყო, რაღაც გაურკვეველი, შეუსაბამო რამ... რაც ჩვენ უფრო გვაღიზიანებდა, ბოროტად გვხდიდა. მაგრამ დაბოლოს დავინახეთ, რომ გამოსავალი განდგომაში კი არ იყო, არამედ მოქმედებაში და მუშაობაში ჩარევაე თანდათან გამოირკვა ყველაფერი! მივედით, დაუხლოვდით და როცა ჩვენი მუშაობა დაინახეს—ნდობაც აღდგა! ახალი გზა გამოინახა და ჩვენ კვლავ ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს!..

ასეთი უბრალო ლაპარაკი, ასეთი მარტივი მისვლა კითხვასთან, ასეთი მუშური მსჯელობა და დასკვნანი,— ჰხიბლავდა ლევანს, რომლის გონება ათასი ფიქრით იყო დატვირთული.

თავისუფლად ისუნთქა, ტანში სიმჩატე იგრძნო... ძველ მეგობარ მუშას თვალებში შეხედა, თითქო უნდოდა კიდევ რაღაც კითხვა მიეცა, მაგრამ უამრავი ფიქრები თავს შემოესია, ფიქრთა კორიანტელში აიბნა, დაიხლართა —მეგობარს ხელი გაუწოდა და აბნეული ნაბიჯით გზას გაუდგა....

—

დავით სულიაშვილი.

# წერილი პროვინციიდან

**დუშეთი** (საკუთარი კორესპონდენტისაგან)

დუშეთის მაზრაში მოხდა რამოდენიმე კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა თბილისიდან ჩამოსული ამხ. კაჩუხაშვილი. მოხსენებები გაკეთდა: ქ. დუშეთში, მუხრანში და ყაზბეგში. მომხსენებელს თემად აღებული ქონდა „საერთაშორისო მდგომარეობა და ემიგრაციის ახმაურება“.

კრება დიდი ინტერესით შეხვდა მოხსენებას. მაგალითად, დუშეთში კრებამ მოითხოვა კრების მეორე დღეს გაგრძელება. კრებებზე გამოდიოდენ ორატორები, რომლებიც სასტიკად გმობდენ ემიგრაციის „საზიზღარ ოინებს“. შემოქონდათ მთელი რიგი შეკითხვები.

დამსწრე.

**სარედაქციო კოლეგია.**

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.